# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან • ფასი 1,5 ლარი

№33 (9864) 2025 წლის 7 მარტი, პარასკევი





# კიდევ ერთი თაღლითი ქოცი მილიონერი აგვეთესა!

## როგორ გადაკვეთა საზღვარი ბრალდებულმა გიორგი ბაჩიაშვილმა?!

**...ამ ეტაპზე დადგენილია, რომ გ.ბ.-მ საქართველოს სახელმწიფო საზღვარი 2 მარტს, სასაზღვრო გამტარი პუნქტის გვერდის ავლით, ავტომობილში მოწყობილი სპეციალური სამალავის საშუალებით, სომხეთის მიმართულებით ფარულად გადაკვეთა,** – ამის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებაშია ნათქვამი.

როგორც უწყებაში აცხადებენ, გიორგი ბაჩიაშვილმა სომხეთის სასაზღვრო გამშვებ პუნქტში, მის სახელზე გაცემული რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის დამადასტურებელი სხვა პასპორტი წარადგინა, რის შედეგადაც გაიარა საზღვარი.

**– გვსურს საზოგადოებას მივაწოდოთ ამ ეტაპზე გამოძიების ხელთ არსებული ინფორმაცია, გ.ბ.-ს მიერ, სახელმწიფო საზღვრის სავარაუდოდ უკანონო გადაკვეთის ფაქტთან დაკავშირებით.**

**შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლის 1-ელი ნაწილით მიმდინარეობს.**

**სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ფარგლებში, ამ ეტაპზე დადგენილია, რომ გ.ბ.-მ საქართველოს სახელმწიფო საზღვარი 2 მარტს, სასაზღვრო გამტარი პუნქტის გვერდის ავლით, ავტომობილში მოწყობილი სპეციალური სამალავის საშუალებით, სომხეთის მიმართულებით ფარულად გადაკვეთა, ხოლო აღნიშნულის შემდეგ, სომხეთის სასაზღვრო გამშვებ პუნქტში, მის სახელზე გაცემული რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის დამადასტურებელი სხვა პასპორტი წარადგინა, რის შედეგადაც გაიარა საზღვარი.**

**შინაგან საქმეთა სამინისტროში აქტიურად გრძელდება ყველა შესაბამისი საგამოძიებო მოქმედება, აღნიშნული დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილე პირების დადგენა – დაკავების მიზნით.**

**მესამე ბრალდებაზე გიორგი ბაჩიაშვილს პატიმრობა დაუსწრებლად შეეფარდა.** „თანაინვესტირების ფონდის“ ყოფილ ხელმძღვანელს საზღვრის უკანონო კვეთაზე ბრალი 5 მარტს წარუდგინეს და სასამართლომ აღკვეთის ღონისძიებაზე იმ დღესვე იმსჯელა.

სასამართლო სხდომის დაწყებამდე შინაგან საქმეთა სამინისტრომ განცხადება გამოაქვეყნა.

**გიორგი ბაჩიაშვილს ქვეყნის დატოვება აკრძალული ჰქონდა. მან თავად დაწერა, რომ საქართველო დატოვა. მიზეზად საფრთხეებზე მიღებული ინფორმაცია დაასახელა. პოსტი სოციალურ ქსელში სასამართლო სხდომის დაწყებამდე გამოაქვეყნა. თანაინვესტირების ფონდის ხელმძღვანელს საზღვრის უკანონო კვეთამდე ორი ბრალი ჰქონდა წარდგენილი.**

## აი, ივანიშვილის კიდევ ერთი მოღალატე!!!




**ტრამპმა გაილაშქრა სქესის შეცვლის წინააღმდეგ. ის კონგრესს წარუდგენს კანონპროექტს, რომელიც სამუდამოდ გამოაცხადებს კანონგარეშედ ბავშვებისთვის სქესის შეცვლას.**

# „ეს ბიჭი კარგად თამაშობს“...



**ტრამპმა კიდევ ერთხელ შეაქო მილიარდერი ბიზნესმენი ილონ მასკი, რომელიც ტრამპის გადაწყვეტილებით მართავს მთავრობის ეფექტიანობის დეპარტამენტს (DOGE). ტრამპმა თქვა, რომ „აქ ყველა“ აფასებს ახალი სააგენტოს ძალისხმევას – დემოკრატების ჩათვლით.**

3

## ბრიუსელი და ლონდონი ვაშინგტონის წინააღმდეგ გაერთიანდნენ!..

2

**The New York Times**

## „ამერიკა – მსოფლიოში ბოროტების სულისჩამდგმელი?“

**კრემლი - რუსებს: „ნუ ვიჩქარებთ ასეთ შეფასებებში“**

8



6

## აკაკი ხორავას სენსაციური ჩანაწერები



**31 წლის ბექა ბებიაშვილს ესპანეთის მეფემ დოქტორის წოდება მიანიჭა**

5


WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE



## ირაკლი კობახიძე ოფიციალური ვიზიტით თურქმენეთში გაემგზავრა

**ირაკლი კობახიძეს თურქმენეთის პრეზიდენტი სერდარ ბერდიმუჰამედოვი დღეს პირისპირ შეხვედრაზე უმასპინძლებს. ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს პირველი ვიცე-პრემიერისა და თურქმენეთის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილის ხელმძღვანელობით, საქართველოსა და თურქმენეთის მთავრობის წევრების გაფართოებული ფორმატის მოლაპარაკებები გაიმართება, რომლის შემდეგ დარგობრივ უწყებებს შორის სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებები გაფორმდება.**

## ჟენევის მოლაპარაკებების 63-ე რაუნდი

**2025 წლის 4-5 მარტს გაიმართა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების 63-ე რაუნდი, სადაც საქართველოს დელეგაციას საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლაშა დარსალია ხელმძღვანელობდა.**

მოლაპარაკებების ფარგლებში ქართულმა დელეგაციამ ძირითადი აქცენტი გააკეთა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების დღის წესრიგის მთავარ საკითხებზე, როგორებიცაა რუსეთის მიერ ევროკავშირის შუამავლობით დადებული 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების სრულად შესრულების აუცილებლობა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირებისა და ლტოლვილების საკუთარ სახლში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნება.

ასევე, ხაზი გაესვა გალში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) ყოველგვარი წინაპირობების გარეშე აღდგენის და გალსა და ერგნეთში ხსენებული მექანიზმის რეგულარულად, ფუძემდებლური პრინციპების შესაბამისად გამართვის მნიშვნელობას.

63-ე რაუნდის ფარგლებში საქართველოს დელეგაციამ შეშფოთება გამოხატა ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოების, ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებების კუთხით შექმნილ უმძიმეს ვითარებაზე, მიმდინარე უკანონო მილიტარიზაციაზე და ამ კონტექსტში ოჩამჩირეში რუსეთის უკანონო საზღვაო ბაზის მშენებლობისა და სოხუმის აეროპორტის ამოქმედების ფაქტებზე. ქართულმა მხარემ ასევე დაგმო საქართველოს ოკუპირებულ აფხაზეთის რეგიონში ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება და საოკუპაციო რეჟიმის ლიდერთან რუსეთის პრეზიდენტის დღევანდელი შეხვედრა, რაც წარმოადგენს ანექსიისკენ გადადგმულ მორიგ ნაბიჯებს და უხეშად არღვევს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

რუსეთისა და საოკუპაციო რეჟიმების წარმომადგენლებმა, ჩვეული პრაქტიკის მსგავსად, მოლაპარაკებების მაგიდა დატოვეს დღის წესრიგის ერთ-ერთ უმთავრეს საკითხზე, რომელიც ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირებისა და ლტოლვილების საკუთარ სახლში დაბრუნებას შეეხებოდა.

## ვახტანგ ცინცაძე: ბიზნესსექტორის ბრუნვის, გამოშვებისა და დასაქმების რეკორდული მაჩვენებლები

**2024 წელს 9.5-პროცენტიანი ეკონომიკური მაჩვენებელი დიდწილად კერძო სექტორის ეკონომიკური აქტივობის ზრდამ განაპირობა. 2024 წლის მეოთხე კვარტლის ბიზნეს სექტორის მაჩვენებლებით კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ კერძო სექტორში საკმაოდ პოზიტიური ტენდენციები მთელი გასული წლის განმავლობაში ფიქსირდებოდა,** – განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ **ვახტანგ ცინცაძემ.**



**„კერძოდ, რეკორდულია როგორც ბრუნვის, ასევე გამოშვებისა და დასაქმების მაჩვენებლები. 2024 წლის მეოთხე კვარტალში ბიზნესსექტორის ბრუნვა გაიზარდა ათი პროცენტით, გამოშვება კი დაახლოებით 11 პროცენტით და 23.5 მლრდ ლარი შეადგენა. გამოშვების ზრდაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მშენებლობის, ინფორმაციისა და კომუნიციის, მრეწველობის, ტრანსპორტისა და დასაწყობების სექტორებმა“,** – აღნიშნა **ვახტანგ ცინცაძემ.**

როგორც მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, 2024 წლის მეოთხე კვარტალში დასაქმებულთა რაოდენობა დაახლოებით 30 ათასით გაიზარდა, დასაქმებულთა საერთო რაოდენობამ კი 811 ათასს გადააჭარბა. რაც შეეხება საშუალო ხელფასს, ვახტანგ ცინცაძის თქმით, ის 170 ლარზე მეტად გაიზარდა და 2367 ლარი შეადგინა.



## შალვა პაპუაშვილი: ქართველებს მეგობრობა არ გვესწავლება, ბალტიისპირელებო!

**სამი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის – ესტონეთის, ლატვიისა და ლიეტუვის – მიერ ქართველი ოფიციალური პირების ქაოტური დასანქცირება არა მარტო ღიმილნარევ გაოცებას, არამედ ცნობისმოყვარეობასაც იწვევს: რა განაპირობებს მათ ასეთ ჭარბ ენთუზიაზმს, როდესაც საქმე საქართველოს ეხება?**

პოსტსაბჭოთა ბალტიისპირული ქვეყნების ხელმძღვანელობის ოფიციალური პოზიციაა, რომ სანქციები პასუხია საქართველოს „დემოკრატიულ უკუსვლაზე“. რეალობასთან აცდენას რომ თავი დავანებოთ (რელობა, რომელიც საერთაშორისო რეიტინგებსა თუ მყარ ციფრებს ეყრდნობა), თუ მართლაც ქართულ დემოკრატიაზე შესტკივათ გული, მაშინ რატომ უჭერდნენ მხარს ასეთი თავგამოდებით სააკაშვილის ავტორიტარულ რეჟიმს, რომელიც ფეხქვეშ თელავდა არა მარტო პოლიტიკურ თავისუფლებებს, არამედ ადამიანის ყველანაირ უფლებებსაც? რატომ მფარველობენ მას დღემდე და კანონიერი სასჯელისგან მის დახსნას ცდილობენ? როგორც ჩანს, დემოკრატიაზე ზრუნვა პოსტსაბჭოთა ბალტიისპირეთისათვის არა მიზეზი, არამედ მხოლოდ საბაბია, რომელიც საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებაზე წნეხის განსახორციელებლად სჭირდებათ.

ან იქნებ საქართველოს ხელისუფლების პოზიცია არ მოსწონთ ნატოსთან ან საერთაშორისო უსაფრთხოების წესრიგთან დაკავშირებით? იქნებ უკმაყოფილონი არიან იმ როლით, რომელსაც საქართველო ასრულებდა და ასრულებს მშვიდობისა და სტაბილურობის საერთაშორისო ძალისხმევაში?

ვნახოთ ციფრები, თუ რა წვლილი შეიტანა და რა მსხვერპლი გაიღო საქართველომ უკანასკნელ ათწლეულში და შევადაროთ ბალტიის ქვეყნების კონტრიბუციას საერთაშორისო უსაფრთხოების და სტაბილურობის მისიებში. აქაც აშკარაა, რომ, როცა საქმე რეალურ ნაბიჯებს და რეალურ საქმეს უკავშირდება, მათი ძალისხმევა ახლოსაც კი ვერ მოვა ქართველი ხალხის წვლილთან.

იქნებ იმას გვსაყვედურობენ, რომ უკრაინას თავად დაეხმარნენ, საქართველომ კი მოხალისეები ოფიციალურად არ გაგზავნა უკრაინაში და ამით თავიდან აირიდა სისხლისმღვრელ ომში ჩართვა? არც ამაში უნდა იყოს საქმე, რადგან ჯერჯერობით უკრაინის ფრონტზე ოფიციალურად გაგზავნილი არც ერთი ბალტიისპირული ოცეულიც კი არავის შეუნიშნავს.

ამ გამოცანაზე რეალური პასუხი, მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე გამოსვლაში, დანიის პრემიერმინისტრმა მეტე ფრედერიკსენმა გვიკარნახა, როდესაც თქვა, რომ საქმე უკრაინაში კი არა, რუსეთშია.

აშკარაა, რომ რუსეთს ბალტიისპირეთი რეალურ საფრთხედ აღიქვამს და ყველა საშუალებას იყენებს ამ საფრთხის გასანეიტრალებლად თუ არა, შესამცირებლად მაინც. „ყველა საშუალებაში“, როგორც ჩანს, საქართველოც მოიაზრება, როგორც ინსტრუმენტი რუსეთის წინააღმდეგ.

ბალტიის პოსტსაბჭოთა ქვეყნების ქცევას რომ დავაკვირდეთ, დავინახავთ, რომ სააკაშვილს, რომელიც უპასუხისმგებლოდ იქცეოდა რუსეთთან მიმართებაში, ყველანაირად მხარს უჭერდნენ და აქეზებდნენ, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას კი, რომელიც მშვიდობისა და საქართველოს რეალური ინტერესების დაცვისკენაა მოწოდებული, ყველანაირად ესხმიან თავს და, ბოლოს, სანქციების გაუგებარ დაწესებამდეც კი მივიდნენ.

გამოდის, რომ ყველაფრის მიზეზი რუსეთია. გამოდის, რომ ბალტიის პოლიტიკური ელიტები მხოლოდ მაშინ გვემეგობრებიან, თუ თავზე ხელს ავიღებთ და ნაღმივით ავიფეთქებთ თავს, რომ რუსეთი დავაზიანოთ და ბალტიისპირეთს საფრთხე ავარიდოთ.

თუ ვინმეს ამქვეყნად მეგობრობის ანაბანა ესმის, ქართველები ვართ. ნამდვილი მეგობრობა უანგაროა. თუმცა, სამწუხაროდ, ანგარებიანი მეგობრობაც არსებობს. ჯოჯოხეთში ცალკე ადგილია გადანახული მათთვის, ვინც მეგობარს საკუთარი ტყავის გადასარჩენად გაწირავს.



## ბრიუსელი და ლონდონი ვაშინგტონის წინააღმდეგ გაერთიანდნენ!..



**ვოლოდიმირ ზელენსკი დილემის წინაშეა — საჯარო ბოდიში, წიაღისეულის მოპოვების ხელშეკრულების დადება უსაფრთხოების გარანტიების გარეშე თუ აშშ-ს შეჩერებული დახმარება და მხოლოდ ევროპის იმედად დატოვებული უკრაინა? როგორც ანალიტიკოსები ამბობენ, უკრაინისთვის ამერიკული დახმარება ყველაზე მნიშვნელოვანია და მისი ჩანაცვლება ევროპის დახმარებით ასეთი მარტივი ვერ იქნება. ამიტომ ზელენსკისაც და ევროპასაც ტრამპის პირობების მიღება მოუწევთ.**

**დონალდ ტრამპმა უკრაინისთვის დახმარება უკვე შეაჩერა – ამერიკის 47-ე პრეზიდენტის გადაწყვეტილება საერთაშორისო მედიას თეთრ სახლში დაუდასტურეს.**

Associated Press-სთან ინტერვიუში ზელენსკი ამბობს, რომ „რუსეთთან ომის დასრულება ძალიან, ძალიან შორსაა“, ფიქრობს, რომ კიევისა და ვაშინგტონის გრძელვადიანი პარტნიორობა საკმაოდ მყარია და ოვალურ კაბინეტში მომხდარი სკანდალი უკრაინისთვის სამხედრო მხარდაჭერის მიწოდებაზე გავლენას არ იქონიებს. ზელენსკი იმედოვნებს, რომ თანამშრომლობა გაგრძელდება.

ტრამპი სოციალური ქსელიდან ეხმაურება ზელენსკის აღქმებს და ასკვნის, რომ უკრაინის პრეზიდენტს „მშვიდობა არ სურს“ და ისევ იმეორებს, რომ ტანგოს ცეკვას ორი ადამიანი სჭირდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შეთანხმება უკრაინასა და რუსეთს შორის უნდა დაიდოს.

ტრამპის პოსტი გადააზიარა შეერთებული შტატების მთავრობის ეფექტურობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა **ილონ მასკმა** და დაწერა: **„ზელენსკის სურს სამუდამო ომი, დაუსრულებელი ხორცსაკეპი მანქანა, ეს ბოროტებაა“.**

ზელენსკი უშედეგოდ ცდილობს ტრამპის დარწმუნებას, რომ უკრაინა მშვიდობის მომხრეა და ისევ ამერი-

# „ამერიკა დაბრუნდა“!

საქართველოს რესპუბლიკა

აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი მეორე საპრეზიდენტო ვადის დაწყების შემდეგ კონგრესის გაერთიანებულ სხდომაზე სიტყვით პირველად გამოვიდა.



## კონგრესში ტრამპის სიტყვით გამოსვლის ძირითადი აქცენტები

# „ეს ბიჭი კარგად თამაშობს“...




„ამერიკა დაბრუნდა!.. ჩვენ 43 დღეში უფრო მეტს მივაღწიეთ, ვიდრე უმეტესმა ადმინისტრაციებმა მიაღწიეს ოთხ წელში ან რვა წელში და ეს მხოლოდ დასაწყისია“, – მიმართა აშშ-ის პრეზიდენტმა დამსწრეებს.

**მან ბაიდენის ადმინისტრაცია გააკრიტიკა, მათ შორის „HIPS and Science Act-ის გამო (აქტი ითვალისწინებს დაახლოებით 280 მილიარდი დოლარის ახალ დაფინანსებას შეერთებულ შტატებში შიდა კვლევისა და ნახევარგამტარების წარმოების გასაძლიერებლად) რომელიც მიღებულ იქნა ორპარტიული უმრავლესობით 2022 წელს.**

**მისივე თქმით, გაუქმებულია ბაიდენის ადმინისტრაციის მიერ დაწესებული „ელექტრომანქანის მანდატი“. თუმცა, როგორც ამერიკული მედია იუწყება, ეს მანდატი არ უკრძალავდა ამერიკელებს ბენზინზე მომუშავე მანქანების შეძენას.**

**ამასთან, მან ისაუბრა პარიზის კლიმატის შეთანხმებიდან და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციიდან აშშ-ის გაყვანის საკითხზე.**



* * *

**28 თებერვალს უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკისთან დაძაბული შეხვედრის შემდეგ ტრამპმა თქვა, რომ უკრაინის პრეზიდენტმა მას წერილი გაუგზავნა, რომელშიც ნათქვამია, რომ მზად არის მოლაპარაკებებისთვის და მინერალურ ხელშეკრულებაზე ხელმოწერისთვის.**

მან ასევე განაცხადა, რომ მიმდინარე კვირის ბოლოს „ისტორიულ ზომებს მიიღებს კრიტიკული მინერალებისა და იშვიათი მიწის ლითონების წარმოების მკვეთრად გასაფართოებლად“ აშშ–ში. ტრამპის თქმით, ამავე დროს მან რუსეთისგან მიიღო „ძლიერი სიგნალები, რომ ისინი მზად არიან მშვიდობისთვის“.

* * *

**ტრამპმა კიდევ ერთხელ შეაქო მილიარდერი ბიზნესმენი ილონ მასკი, რომელიც ტრამპის გადაწყვეტილებით მართავს მთავრობის ეფექტიანობის დეპარტამენტს (DOGE). ტრამპმა თქვა, რომ „აქ ყველა“ აფასებს ახალი სააგენტოს ძალისხმევას – დემოკრატების ჩათვლით.**

სანამ მისი ადმინისტრაცია მიიწევს ფედერალური სამუშაო ძალის რესტრუქტურიზაციისკენ, ტრამპი გამოვიდა გაფრთხილებით, რომ, თუ მუშაკები წინააღმდეგობას გაუწევენ მისი ადმინისტრაციის პოლიტიკას, ისინი გათავისუფლებულები იქნებიან. მასკის ხელმძღვანელობით აშშ-ში დაიწყო ფედერალური უწყებების თანამშრომლების შემცირება და ზოგიერთი უწყების საერთოდ დახურვა.

* * *

**დონალდ ტრამპის თქმით, მის უპირველეს პრიორიტეტებს შორის ეკონომიკის გაუმჯობესებაა!**

**„წინა ადმინისტრაციისგან ჩვენ მემკვიდრეობით მივიღეთ ეკონომიკური კატასტროფა და ინფლაციის კოშმარი. მათმა პოლიტიკამ ასწია ფასები ენერგოსექტორზე, გაზარდა სასურსათო პროდუქტების ღირებულება და მილიონობით ამერიკელისთვის მიუწვდომელი გახადა სიცოცხლისთვის აუცილებელი საჭიროებები. ჩვენ განვიცადეთ ყველაზე მძიმე ინფლაცია ბოლო 48 წლის განმავლობაში, მაგრამ შესაძლოა, მთლიანად ჩვენი ქვეყნის ისტორიაშიც კი. როგორც პრეზიდენტი, ყოველდღე ვიბრძვი იმისთვის, რომ გამოვასწორო ეს ზიანი“,** – განაცხადა მან.

ტრამპმა ბოლო დროს ქვეყანაში ქათმის კვერცხის ფასების ზრდაში ბაიდენის ადმინისტრაცია დაადანაშაულა, თუმცა, როგორც ამერიკული მედია იტყობინება, ფასის ზრდა ფრინველის გრიპმა გამოიწვია, რადგან შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის დეპარტამენტი ითხოვს მთელი ფრინველების დახოცვას, რათა შეაჩეროს გავრცელება, თუ ფრინველთა ფერმაში ვირუსი გამოვლინდა.

* * *

**ტრამპმა განაცხადა, რომ მსოფლიოს ქვეყნები სავაჭრო ტარიფებს აშშ-ის წინააღმდეგ გოროტად იყენებენ.**

**„ახლა დადგა დრო, ჩვენ გამოვიყენოთ ტარიფები სხვების წინააღმდეგ“,** – თქვა მან და აღნიშნა, რომ 2 აპრილიდან შეერთებული შტატები საპასუხო გადასახადებს დაუწესებს სხვა ქვეყნებს. ის ასევე დაიმუქრა, რომ ამერიკა არამონეტარულ მეთოდებსაც გამოიყენებს თავისი მიზნების მისაღწევად.

* * *

**ტრამპმა ბაიდენის ადმინისტრაცია დაადანაშაულა, რომ მისი მმართველობის პერიოდში ‘აშშ–ში 21 მილიონი ადამიანია შესული არალეგალური გზებით“.**

**„არაფერია აშშ-ის საზღვრების დაცვაზე უფრო მნიშვნელოვანი“,** – განაცხადა ტრამპმა. მისივე თქმით, **„ამ ადამიანებს შორის ბევრი ბოროტმოქმედია“. „მაგრამ ჩვენ მათ გავყრით და გავყრით სწრაფად!“** – დასძინა ტრამპმა.

**„ჩვენი სასამართლო სისტემა თავდაყირა დააყენეს რადიკალმა მემარცხენე შეშლილებმა“,** – თქვა მან და პირობა დადო, რომ ამ ვითარებას გამოასწორებს. **„ჩვენ კანონი და წესრიგი უნდა დავუბრუნოთ ჩვენს ქალაქებსა და დაბებს“,** – დასძინა აშშ-ის პრეზიდენტმა.

* * *

**გრენლანდია და პანამის არხი: ტრამპმა კიდევ ერთხელ გაიმეორა მისი სურვილი გააკონტროლოს გრენლანდია.**

**„ჩვენ ვმუშაობთ ყველა მონაწილესთან, რათა ვცადოთ ამის მიღწევა“,** – დასძინა მან.

ტრამპმა ასევე განაცხადა, რომ შეერთებულმა შტატებმა დაიწყო პანამის არხის აშშ–ის კონტროლის ქვეშ დაბრუნების პროცესი.

* * *

**სქესი: ტრამპმა გაილაშქრა სქესის შეცვლის წინააღმდეგ. მისი თქმით, ის კონგრესს წარუდგენს კანონპროექტს, რომელიც სამუდამოდ გამოაცხადებს კანონგარეშედ გავშვებისთვის სქესის შეცვლას.**

მან ასევე ისაუბრა მის განკარგულებაზე, რომლის თანახმად, ტრანსგენდერ ქალებს ქალთა სპორტში მონაწილეობა ეკრძალებათ.

---

კის მხარდაჭერის იმედი აქვს.

აშშ-ს ვიცე პრეზიდენტმა ჯეი დი ვენსიმ განაცხადა, რომ უკრაინის დახმარების აღდგენისთვის ზელენსკი მოლაპარაკებების მაგიდასთან უნდა დაჯდეს.



**„ჩვენ გვინდა, უკრაინელებს ჰქონდეთ სუვერენული და დამოუკიდებელი ქვეყანა. ვფიქრობთ, უკრაინის ჯარები ძალიან ვაჟკაცურად იბრძოდნენ, მაგრამ ჩვენ ვართ ისეთ წერტილში, სადაც არც ევროპას, არც შეერთებულ შტატებს და არც უკრაინელებს არ შეუძლიათ, უსასრულოდ გააგრძელონ ეს ომი“,** – განაცხადა **ვენსმა.**

ზელენსკის დახმარებას ცდილობს ევროპა. ევროკომისიის პრეზიდენტმა სპეციალური გეგმა შეიმუშავა. ურსულა ფონ დერ ლაიენი დარწმუნებულია, რომ ევროპა 800 მილიარდი ევროს მობილიზებას მოახერხებს.



**„ჩვენ ვცხოვრობთ ყველაზე გადამწყვეტ და მნიშვნელოვან დროს. არ არის საჭირო, აღვწერო ჩვენ წინაშე არსებული საფრთხეების სერიოზულობა ან გამანადგურებელი შედეგები, რომლებიც დადგება, თუ ეს საფრთხეები ასრულდება, რადგან შეკითხვა აღარ დგას – ემუქრება თუ არა რეალური საფრთხე ევროპის უსაფრთხოებას ან უნდა აიღოს თუ არა ევროპამ მეტი პასუხისმგებლობა საკუთარ უსაფრთხოებაზე. სინამდვილეში, ჩვენ დიდი ხანია ვიცით ამ კითხვებზე პასუხები. რეალური კითხვა ჩვენს წინაშე არის – მზად არის თუ არა ევროპა, იმოქმედოს ისე მტკიცედ, როგორც ამას უკარნახებს ვითარება, მზად არის თუ არა ევროპა და აქვს თუ არა უნარი იმოქმედოს ისე სწრაფად და ამბიციურად, როგორც საჭიროა“,** – აღნიშნა **ურსულა ფონ დერ ლაიენმა**.



მისი თქმით, ევროპელ ლიდერებს წერილი გაუგზავნა, რომელშიც „ევროპის გადაიარაღების“ გეგმის 5 პუნქტია აღწერილი.

ევროპელთა მეორე ნაწილი კი ამერიკისგან უკრაინისთვის დახმარების შეჩერების გამო შეშფოთებულია.

ევროპა შეშფოთებულია, რუსეთი კი გახარებული – კრემლში მიიჩნევენ, რომ უკრაინისთვის დახმარების შეწყვეტით შტატები სამშვიდობო საქმეში საუკეთესო წვლილს შეიტანს.

კრემლის პრესსპიკერმა **დიმიტრი პესკოვმა** განაცხადა, რომ აშშ საუკეთესო წვლილს შეიტანს სამშვიდობო საქმეში, თუ ის ნამდვილად შეწყვეტს უკრაინის დაფინანსებას. ამასთან, პესკოვმა განაცხადა, რომ რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობების ნორმალიზება უნდა მოიცავდეს რუსეთის მიმართ სანქციების მოხსნას, თუმცა, მისივე თქმით, ჯერ ასეთი გეგმა არ არსებობს.

**„რა თქმა უნდა, ორმხრივი ურთიერთობების ნორმალიზებაზე თუ ვსაუბრობთ, მაშინ ისინი უნდა გათავისუფლდნენ ე.წ. სანქციების ამ ნეგატიური ტვირთისგან“,** – განაცხადა პესკოვმა.

* * *

**„ხალხის ძალის“** წევრი და ანალიტიკოსი **დავით ქართველიშვილი** for.ge-სთან ამბობს, რომ ვოლოდიმირ ზელენსკიმ ყველანაირ ზღვარს გადააბიჯა, როცა ოვალურ კაბინეტში შოუ მოაწყო, რაც პირდაპირ აშშ-ს პრეზიდენტის შეურაცხყოფა და ალიყურის გაწნა იყო. ამას კი, მისი აზრით, ტრამპი არავის აპატიებს. ამიტომ მოსალოდნელია, რომ ის კიდევ უფრო მკაცრ გადაწყვეტილებებს მიიღებს, ვიდრე დახმარების შეწყვეტაა.

იხ. 9 გვ.



**ლონდონი და ბრიუსელი ანტიტრამპისტულ მოძრაობაში გაერთიანდნენ და დასავლეთს ორ ბანაკად ყოფენ. ზელენსკის კი ფიზიკურად გადარჩენის პრობლემა აქვს, ამიტომ ის ამ ომის გაგრძელებას ნებისმიერ ფასად ცდილობს.**

## სახალხო დიპლომატიური პლატფორმა



# „სოხუმი“ იწყებს!

**2024 წლის ბოლოს, ნოემბერში თბილისში დაფუძნდა სახალხო დიპლომატიური პლატფორმა „სოხუმი“, რომელშიც გაერთიანებული არიან სამეცნიერო წრეების, კულტურის მუშაკების, ახალგაზრდობის, პენსიონერების და ძალოვანი სტრუქტურების ვეტერანთა წარმომადგენლები.**

სდპ „სოხუმის“ პრეზიდენტია ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ბესარიონ ხვინთელიანი,** რომელიც აფხაზეთის მკვიდრია და წლების განმავლობაში მოღვაწეობს რუსეთის ფედერაციასა და ევროპაში. იგი ცნობილი ფილანტროპია და დაფინანსებული აქვს არაერთი საქველმოქმედო ღონისძიება როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ.

პლატფორმის ვიცე-პრეზიდენტია ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი თეიმურაზ ფაჩულია, რომლის სახელი კარგადაა ცნობილი როგორც სამეცნიერო, ასევე შემოქმედებით წრეებში.

სდპ „სოხუმის“ მიზანია ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის ნდობისა და მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის და ერთად თანაცხოვრების აღდგენის პროცესისადმი ხელის შეწყობა, რომლის გარეშე შეუძლებელია ჩვენი მოქმედი ხალხების შემდგომი დაახლოება და სტაბილური მშვიდობის დამყარება კავკასიის რეგიონში.

პლატფორმის ამოცანაა აფხაზეთში დემოკრატიული, კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული ურთიერთობების დამყარებისთვის მხარდაჭერა, აფხაზეთში მცხოვრები ყველა ეროვნების მშვიდობიანი თანაარსებობისთვის, მათი ოჯახების ეკონომიკური წინსვლისა და ცხოვრების დონის ამაღლებისთვის ხელშეწყობა, მსოფლიო მაკროეკონომიკურ პროცესებში აფხაზეთის ინტეგრირებისთვის თანადგომა.

დასახული ამოცანის რეალიზაცია შეუძლებელია ქართული, აფხაზური და რუსული მხარეების შეთანხმებული, კოორდინირებული მოქმედების გარეშე, მით უმეტეს, მაშინ, როცა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების დარეგულირების ერთადერთი გასაღები მხოლოდ მოსკოვშია!

სდპ „სოხუმმა“ უკვე დაიწყო ტელეგადაცემების ციკლი მრგვალი მაგიდის ფორმატში, რომელიც ეძღვნება აფხაზეთის თემატიკის თითქმის ყველა საჭირბოროტო საკითხს. ასევე დაგეგმილია მთელი რიგი სხვა აქტუალური პროექტის, საქმიანი ღონისძიებების ჩატარება, რომლებშიაც ჩართული იქნებიან სახალხო დიპლომატიის ქმედითი ძალები სამივე მხრიდან.

**წარმატებები ვუსურვოთ ქართველი და აფხაზი ხალხების ეროვნული ინტერესების განხორციელებისთვის მოწოდებულ სახალხო დიპლომატიურ პლატფორმა „სოხუმს“.**

**თამაზ აფხაზავა**

# 5 მარტს გაიმართა თბილისის მთავრობის მორიგი სხდომა



**გასული წლის ოქტომბერში ნაძალადევის რაიონში, ზღვისუბანში გაიხსნა საქალაქო მნიშვნელობის პარკი. რეკრეაციული სივრცე 25 ჰა-ს მოიცავს, რომელიც წლების განმავლობაში იყო დაჯაობებული, უმძიმესი მდგომარეობა იყო და ირგვლივ მცხოვრებთათვის დიდ პრობლემას წარმოადგენდა. პროექტის მიხედვით, აღნიშნულ ტერიტორიაზე გათვალისწინებული იყო კაფეს განთავსება, რადგან ამ პარკს ძალიან ბევრი ადამიანი სტუმრობს.**

სწორედ ამიტომ, თბილისის მერია დღეიდან აცხადებს ინტერესთა გამოხატვას ფართის იჯარით გაცემაზე. ყველა დაინტერესებულ ადამიანს, ბიზნესს მინდა მივმართო, რომ ჩაერთოთ აღნიშნულ ინტერესთა გამოხატვაში და წარმოადგინეთ თქვენი წინადადებები. დიდი იმედი მაქვს, რომ დაინტერესება იქნება, რადგან ჩვენთვის, ქალაქისთვის მნიშვნელოვანია, რომ იქ ყველანაირად მოწესრიგებული კაფე მოეწყოს.

* * *

**„სტუდენტთა დაფინანსების პროგრამის“ ფარგლებში, 2024-2025 სასწავლო წლის საგაზაფხულო სემესტრის სწავლის საფასურის დაფინანსების მიზნით, თბილისის მერია განცხადებების მიღებას იწყებს. დაფინანსდებიან სოციალურად დაუცველი, მრავალშვილიანი ოჯახის წევრი და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სტუდენტები. თბილისის მერიისგან მიღებული სწავლის დაფინანსების მოცულობა დამოკიდებულია სტუდენტების აკადემიურ მოსწრებაზე.**

ყოველთვის დავდგებით ჩვენი ახალგაზრდების გვერდით, რათა ხელი შევუწყოთ მათ მომავალი წარმატებისთვის. შეგიძლიათ უკვე წარმოადგინოთ განაცხადები და ყველა ადამიანსა და ოჯახს გვერდით დავუდგებით, ვისაც ამის საჭიროება აქვს. განცხადებების მიღება დღეიდან დაიწყო და 31 მაისის ჩათვლით გაგრძელდება. „სტუდენტთა დაფინანსების პროგრამის“ ფარგლებში, 2024 წელს ფინანსური მხარდაჭერა 5 000-მდე სტუდენტს გაეწია.

ვაზისუბნის დასახლებაში, მე-5 კორპუსის მიმდებარედ მოეწყო ღია ტიპის ფეხბურთის მოედანი, სკეიტ პარკი, თავისი განათების სისტემით, რომელიც აკმაყოფილებს ყველა საერთაშორისო სტანდარტს. სამუშაოებში ჩართულნი იყვნენ უცხოელი ექსპერტები. სკეიტ პარკები ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობს. ჩვენ, რა თქმა უნდა, გავაგრძელებთ ამ ტიპის სამუშაოებს სხვადასხვა უბანსა და რაიონში. დედაქალაქში განხორციელებული ყველა სკეიტ პარკის პროექტში საერთაშორისო ნორმები გათვალისწინებულია. სამუშაოები, დაახლოებით, 2 500 კვადრატულ მეტრ ფართობზე ჩატარდა და პროექტის ჯამურმა ღირებულებამ 3 მლნ ლარამდე შეადგინა.

* * *

**კონკურსზე „შემოქმედებითი თბილისი“ განაცხადების მიღება დაიწყო. აღსანიშნავია, რომ კონკურსის ფარგლებში, ბოლო წლების განმავლობაში 250-მდე პროექტი დაფინანსდა და ბევრი საინტერესო პროდუქტი შეიქმნა, მათ შორის, კომპიუტერული თამაშები ქართული ზღაპრების საფუძველზე, პროექტები ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით, გამოიცა მრავალი სამეცნიერო-პოპულარული წიგნი და სხვა.**

გაზაფხულის სეზონზე, 21 მარტის ჩათვლით, პროექტები მიიღება ოთხი მიმართულებით: საგამომცემლო საქმიანობა, დიზაინი და რეწვა, თანამედროვე ვიზუალური ხელოვნება და მედია ხელოვნება. დამატებითი ინფორმაციის მიღება და განაცხადების ატვირთვა მსურველებს შეუძლიათ სპეციალურად კონკურსისთვის შექმნილ ვებგვერდზე: culture.tbilisi.gov.ge.

* * *

**ისნის რაიონის გამგეობას დავით ხაბეიშვილი უხელმძღვანელებს. ის მერიის უწყებაში წლებია მუშაობს. ამ დრომდე გამგებლის მოადგილე გახლდათ. დავითი პროფესიით საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრია.**



**იგი გამოირჩევა პროფესიონალიზმითა და მენეჯერული თვისებებით. დარწმუნებული ვარ, ის იქნება წარმატებული გამგებლის საპასუხისმგებლო თანამდებობაზე და ერთად მოვახერხებთ იმ გამოწვევების და პრობლემების დაძლევას, რომელიც არსებობს. მინდა, დავით ხაბეიშვილს წარმატებები ვუსურვო!** — თქვა 5 მარტს თბილისის მერმა **კახა კალაძემ** დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე.

# ჭადრაკის სახლის და ალპური კლუბის რეაბილიტაცია დაიწყო

**თბილისის განვითარების ფონდმა კოსტავას ქუჩა N37ა-ში მდებარე ჭადრაკის სასახლისა და ალპური კლუბის რეაბილიტაცია დაიწყო. აღნიშნული შენობა 2019 წლიდან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსს ატარებს.**



სამუშაოების საწყის ეტაპს თბილისის მერი **კახა კალაძე,** მერის მოადგილეებთან — **ირაკლი ხენდელიანთან** და **ანდრია ბასილაიასთან** ერთად გაეცნო.

**„უკვე დაწყებული გვაქვს ვერის პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც სექტემბერ-ოქტომბერში დასრულდება. ტერიტორია სრულად განახლდება და კეთილმოეწყობა, რაც დედაქალაქისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. პარალელურად, დავიწყეთ ჭადრაკის სასახლის რეაბილიტაცია, რომელსაც თბილისის განვითარების ფონდი ახორციელებს. ადგილზე მძიმე მდგომარეობა იყო — დარბაზი ფაქტობრივად, მთლიანად განადგურებულია. სასახლის სამუშაოები ორი ეტაპისგან შედგება. პირველი ეტაპია გარე ფასადის სამუშაოები, რომელიც სექტემბერ-ოქტომბერში დასრულდება, შემდეგ უკვე, მომდევნო წლის ბოლოსთვის, პროექტი სრულად დასრულდება შიდა სამუშაოებით, ოთახების კეთილმოწყობით, დარბაზის განახლებით და ა.შ. მიხარია, რომ აღნიშნული სასახლე, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია და ძალიან დიდ ისტორიას ატარებს, სრულად რეაბილიტირდება“,** - განაცხადა **კახა კალაძემ.**

სარეაბილიტაციო სამუშაოებს, რომლისთვისაც, დაახლოებით, 29 მილიონი ლარია გამოყოფილი, კომპანია „ბრიტანია ქონსთრაქშენი“ ახორციელებს.

**ჭადრაკის სასახლისა და ალპური კლუბის შენობა ვერის პარკში 1972-1973 წლებში აშენდა და ქართული გვიანი მოდერნიზმის ერთ-ერთი საეტაპო ნამუშევარია. ის აგებიდან დღემდე, არქიტექტურული, ურბანული და სიმბოლური თვალსაზრისით, ვერის პარკის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.**



# ახალგაზრდა ქართველ მეცნიერს ბექა ბეგიაშვილს ესპანეთის მეფემ დოქტორის წოდება მიანიჭა

**ახალგაზრდა ქართველ მეცნიერს, ბექა ბეგიაშვილს ესპანეთის მეფემ დოქტორის ტიტული მიანიჭა. მეცნიერს დოქტორის ტიტული საჰაერო-საინჟინრო თემაზე მომზადებული ნაშრომისთვის გადაეცა. მადრიდის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში შეკრებილმა სამეცნიერო საზოგადოებამ ახალგაზრდა პროფესორს დოქტორის წოდების მინიჭება მიულოცა და წარმატებები უსურვა.**

ესპანეთის მეფის, ფილიპე VI-ის მიერ ხელმოწერილი დიპლომი ახალგაზრდა დოქტორს საზეიმო ვითარებაში უნივერსიტეტის რექტორმა გადასცა.

ქართველი მეცნიერი სადოქტორო ნაშრომზე სამი წლის განმავლობაში მუშაობდა. დიპლომის დაცვის დროს ახალგაზრდა პროფესორს ბექა ბეგიაშვილს კითხვებს მსოფლიოს წამყვანი მეცნიერები უსვამდნენ.

31 წლის ქართველმა მეცნიერმა საჰაერო-საინჟინრო სფეროში ახალი სიტყვა თქვა. ბექა ბეგიაშვილის ნაშრომი მონაცემებზე დაყრდნობილი ახალი მოწინავე ტექნიკის კვლევაა ალგებრაში, რომელიც დინამიკურ ფიზიკურ სისტემებში გამოიყენება. კვლევაზე მუშაობა ბექა ბეგიაშვილმა აშშ-ის Purdue University-ის ლაბორატორიაში დაასრულა, სადაც მსოფლიოს უახლესი ძრავების ტექნიკური დიზაინი იქმნება და მათი ოპტიმიზაცია ხდება. საუბარია ისეთ საერთაშორისო კორპორაციებზე, როგორიცაა: Rolls-Royce, Boeing, Airbus და სხვა.

აღსანიშნავია, რომ Purdue University NASA-ს წამყვანი ინოვაციური ლაბორატორიაა, სადაც ქართველი მეცნიერი, NASA-ს მიწვევით, 6 თვის განმავლობაში მუშაობდა. 31 წლის ქართველ პროფესორს 10-მდე მნიშვნელოვანი ნაშრომი აქვს შექმნილი, რომლითაც სფეროს წამყვანი სპეციალისტები სარგებლობენ. ბექა ბეგიაშვილის მოღვაწეობა მხოლოდ სამეცნიერო სფეროთი არ შემოიფარგლება. ახალგაზრდა პროფესორი ამჟამად საკუთარი კომპანიის, Corsonic-ის მეშვეობით, სამედიცინო დარგში ხელოვნური ინტელექტით მხარდაჭერილ პროგრამულ უზრუნველყოფას ავითარებს, რომლის დანიშნულებაც გულ-სისხლძარღვთა დაავადებების ანალიზია. Corsonic ბექა ბეგიაშვილმა 2021 წელს დააარსა.

კომპანია ამ დროისთვის ექოკარდიოგრაფიის მონაცემებს ამუშავებს, რისთვისაც მოწინავე მათემატიკურ მოდელებს იყენებს. მალე მსოფლიო ბაზარზე ხელოვნური ინტელექტი კარდიოლოგიას შეხვდება და სამედიცინო სფეროში რევოლუციურ სიტყვას იტყვის.

# სამაგისტრო პროგრამა, საქპატენტი და ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი

**ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის (KIU) რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუზუამ, შვეიცარიაში გამართულ ოფიციალურ ღონისძიებაზე, საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამის საქართველოში დანერგვის შესახებ სამმხრივ მემორანდუმს მოაწერა ხელი.**

ჟენევაში, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის" ინიციატივითა და უშუალო ჩართულობით, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციას (WIPO), ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტსა (KIU) და საქპატენტს შორის სამმხრივი მემორანდუმი გაფორმდა.

ახალი საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი ქართველი და უცხოელი სტუდენტების პირველ ნაკადს 2025 წლის შემოდგომაზე მიიღებს.

სამმხრივ მემორანდუმს ხელი ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორმა **გიორგი ხუზუამ**, საქპატენტის თავმჯდომარემ **სოსო გიორგაძემ** და WIPO-ს გენერალურმა დირექტორმა დარენ ტანგმა მოაწერეს.

საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამა „ინტელექტუალური საკუთრება, ინოვაციები და მეწარმეობა" ახალი სასწავლო წლიდან დაიწყება. ეს იქნება პირველი ბიზნესადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა, ინტელექტუალური საკუთრებისა და ინოვაციების მენეჯმენტის მიმართულებით, რომელსაც რეგიონში არ აქვს ანალოგი. კურსდამთავრებულები მიიღებენ ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის (MBA) ხარისხს ინტელექტუალური საკუთრებისა და ინოვაციების მენეჯმენტში.

ერთობლივი საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამა WIPO-ს აკადემიის სპეციალური პროგრამის ფარგლებში განხორციელდება, რაც მსოფლიოს მასშტაბით, არაერთ პრესტიჟულ უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, ინტელექტუალური საკუთრების სფეროში სამაგისტრო პროგრამების დანერგვას გულისხმობს. KIU-ს ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა მსოფლიოში რიგით მე-19 იქნება. WIPO აქტიურად მონაწილეობს პროგრამის გლობალურ პოპულარიზაციაში, უცხოელი სტუდენტების მოზიდვასა და სტიპენდიებით უზრუნველყოფაში, რაც კიდევ უფრო გაზრდის სამაგისტრო პროგრამის ცნობადობასა და ხელმისაწვდომობას.

სამაგისტრო პროგრამის მიზანია ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადება როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. სამაგისტრო პროგრამა უზრუნველყოფს კვალიფიციური კადრების მომზადებას ინტელექტუალური საკუთრების მართვის, ინოვაციების მენეჯმენტისა და მეწარმეობის მიმართულებით, რაც მოიცავს როგორც ეროვნული და საერთაშორისო საკანონმდებლო ბაზის, ასევე, ბიზნესის მართვის სტრატეგიების შესწავლას.

საქპატენტისთვის, როგორც ინტელექტუალური საკუთრების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელი უწყებისთვის, საგანმანათლებლო პოლიტიკაზე ზრუნვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რომელიც ხელს უწყობს ინტელექტუალური საკუთრების სფეროს მდგრად განვითარებასა და პროფესიონალთა რაოდენობის ზრდას. ამ მიმართულებით, საქპატენტი მრავალი წელია ნაყოფიერად თანამშრომლობს WIPO-სთან.

**ინტელექტუალური საკუთრების სფეროში სამაგისტრო საფეხურზე განათლების ხელმისაწვდომობის საჭიროება ჯერ კიდევ 2015 წელს, საქართველოს მთავრობასა და WIPO-ს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, გამოიკვეთა. ამ მიზნის მისაღწევად კი 2023 წლიდან დაიწყო აქტიური თანამშრომლობა ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტთან, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და აკადემიური რესურსებით, რაც განაპირობებს ამ მასშტაბის საერთაშორისო პროგრამის წარმატებით განხორციელებას.**



აღსანიშნავია, რომ სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმზე მუშაობის პარალელურად, საქპატენტისა და ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის აქტიური ჩართულობითა და საქართველოს განათლების სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით, შემუშავდა ინტელექტუალური საკუთრებისა და ინოვაციების მენეჯმენტის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლები. 2025 წლის თებერვლიდან კი ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოს ბიზნესის და ადმინისტრირების სწავლების სფეროს დაემატა „ინტელექტუალური საკუთრებისა და ინოვაციების მენეჯმენტი". ეს სიახლე შესაძლებლობას მისცემს სტუდენტებს საქართველოში მიიღონ სპეციალიზებული განათლება ინტელექტუალური საკუთრების მიმართულებით და გახდნენ დარგის პროფესიონალები.

ერთობლივი საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამის განხორციელება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოში ინოვაციური ეკოსისტემის ჩამოყალიბებასა და ქართველ ახალგაზრდებს მისცემს პროფესიული განვითარების ახალ შესაძლებლობებს. ხელმოწერის ცერემონიას ესწრებოდნენ საქპატენტის თავმჯდომარის მოადგილე **ნინო ჩიქოვანი,** ჟენევაში გაერთიანებული ერების განყოფილებასა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი, ელჩი **რევაზ ლომინაძე,** WIPO-ს გენერალური დირექტორის მოადგილე **ჰასან კლეიბი,** განვითარების თანამშრომლობის დეპარტამენტის უფროსი დირექტორი **ბიატრის ამორიმ-ბოჰერი**, გარდამავალი და განვითარებული ქვეყნების სამმართველოს (TDC) დირექტორი **ჰაბიბ ჰასანი,** TDC პროგრამის უფროსი ოფიცერი **ემილ ჰასანოვი** და WIPO-ს აკადემიის მრჩეველი **ვიქტორ ოვადე.**

# მასტერკლასის პირველ სესიას ტექნიკურმა უნივერსიტეტმა უმასპინძლა!

**საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ორგანიზებით CERN/IPPOG კოლაბორაციის მასტერკლასი გაიმართა**

**საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, ბირთვული კვლევის ევროპული ორგანიზაციისა (CERN) და მის ბაზაზე მოქმედ ნაწილაკების ფიზიკის საერთაშორისო საინფორმაციო ჯგუფთან (IPPOG) თანამშრომლობის ფარგლებში, საერთაშორისო შემეცნებითი CERN/IPPOG მასტერკლასების 2025 წლის სესიების ციკლი დაიწყო,** – ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პრესსამსახური ავრცელებს.

მათივე ცნობით, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით, CERN/IPPOG მასტერკლასის პირველ სესიას საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა უმასპინძლა.

თბილისის სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებისთვის განკუთვნილი საგანმანათლებლო მასტერკლასი, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე ანა მღებრიშვილმა გახსნა. მან მასტერკლასში მონაწილე მოსწავლეებსა და დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა და აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო მასტერკლასი, STEM და ტექნოლოგიურ მეცნიერებებზე ორიენტირებული ახალგაზრდებისთვის, CERN-ის სამეცნიერო ექსპერიმენტების გაცნობის უნიკალური საშუალებაა. მინისტრის მოადგილის თქმით, ნაწილაკების ფიზიკის კვლევების პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით, სამინისტრო აგრძელებს მასტერკლასების მხარდაჭერას მომავალშიც, რათა ქვეყნის მასშტაბით უფრო მეტ ახალგაზრდას მიეცეს უნიკალური შესაძლებლობა ეზიაროს ახალ ცოდნას და მიიღოს მონაწილეობა CERN-ის სამეცნიერო-კვლევით ექსპერიმენტებში.

CERN/IPPOG-ის შემეცნებითი მასტერკლასების მიზანს წარმოადგენს მეცნიერების, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების პოპულარიზაცია, ახალგაზრდა თაობების მოზიდვა და დაინტერესება ფუნდამენტური კვლევებით. CERN-ის მეთოდიკით ჩატარებული ვორქშოპის ფარგლებში მოზარდებს, უცხოელ თანატოლებთან ერთად, საკუთარი უნარების წარმოჩენისა და შეფასების კარგი შესაძლებლობა ჰქონდათ.




CERN/IPPOG-ის მასტერკლასები საქართველოში ყოველწლიურად იმართება და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიზანია მეტი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ჩართვა პროცესში. 2025 წელს დაგეგმილია კიდევ 5 მასტერკლასის ჩატარება 5 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში: **ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.** მიმდინარე წელს მასტერკლასები პარალელურად მიმდინარეობს ხორვატიაში, ბულგარეთში, თურქეთსა და კვიპროსში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოსა და CERN/IPPOG-ს შორის თანამშრომლობა 2020 წელს დაიწყო, ხოლო 2019 წლიდან საქართველო IPPOG კოლაბორაციის სრულუფლებიანი წევრია.



# აკაკი ხორავას სენსაციური ჩანაწერები

**მძიმე მატერიალურ პირობებში გვიხდებოდა მუშაობა, მაგრამ იმდენად გვიტაცებდა შემოქმედებითი საკითხები, რომ თეატრში დღე და ღამეს ვატარებდით. ახმეტელმა შექმნა მეგობრული, ამხანაგური ატმოსფერო კოლექტივში და ჩვენ ყველას თეატრი საკუთარ ოჯახად მიგვაჩნდა.**

**ვხედავდი, თუ როგორ დევნიდა საზოგადოება ახმეტელს. მესმოდა მისი უმართებულო გინება, ლანძღვა, ვგრძნობდი, რომ სანდრო ნამდვილად ებრძოდა ყოველგვარ ინტრიგანებს, იბრძოდა ახალი იდეური საბჭოთა მსახიობის შექმნისათვის, რომ მტკიცედ იცავდა თეატრში კოლეგიალობას, იყო კოლექტივში დევიზის: ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის — განუხრელად გამტარებელი, ყოველ საქმიანობაში მაგალითის პირველი მიმცემი. მე ეს ძალზე მომწონდა და ერთგულად ამოვუდექი გვერდით და ვიბრძოდი მასთან ერთად რუსთაველის თეატრის მომავლისათვის.**

ჩვენ მხარეზე იყვნენ მრავალნი პარტიული მუშაკებიდან, მწერლებიდან, ახალგაზრდობიდან. ჩვენ კარგად ვიცოდით, რომ მხოლოდ დაუღალავი შრომით, კარგი წარმოდგენებით შევეძლო საზოგადოებაში ავტორიტეტის მოპოვება; ახმეტელმა აკრძალა მარჯანიშვილის თეატრზე ყოველგვარი ლაპარაკი. ძალიან გაჯავრდებოდა ხოლმე, როდესაც ვინმე ცუდად ახსენებდა კოტეს ან მის მსახიობებს.

დაიდგა „ანზორი“, „რღვევა“, „ყაჩაღები“, „თეთნულდი“ და სხვა პიესები, რომლებმაც საზოგადოებაში დიდი მოწონება დაიმსახურეს. 30-33 წლებში მოსკოვში გამართულმა გასტროლებმა დიდი სახელი გაუთქვა თვით ახმეტელს და რუსთაველის თეატრს. ქართველმა საზოგადოებრიობამ პირი იბრუნა რუსთაველის თეატრისაკენ. ნამდვილი პატრიოტები გახარებულნი იყვნენ, რომ ქართველ ერს ჰყავდა ორი შესანიშნავი თეატრი. რაც უფრო დიდ სახელს იხვეჭდა რუსთაველის თეატრი, მით უფრო გაცოფებულნი იბრძოდნენ ჩვენს წინააღმდეგ. მიდიოდა წლები და „მარჯანიშვილისტებს“ არავინ ეპატიჟებოდა რუსთაველის თეატრში.

მარჯანიშვილის თეატრი გადმოიყვანეს თბილისში. ახლა ბრძოლამ მწვავე ხასიათი მიიღო. იმედგაცრუებული მარჯანიშვილისტები რა ხერხებს, რა პროვოკაციებს, რა დემაგოგიას არ მიმართავდნენ, რომ გაეშავებინათ ჩვენი თავი საზოგადოების წინაშე და ამ საქმეს სათავეში ედგა დიდი დემაგოგი, პროვოკატორობის მომწყობი, უნიჭო რეჟისორი და პატივმოყვარე ინტრიგანი დოდო ანთაძე. (მაგაზე სხვა ადგილას).

ჩვენი თეატრი კი განაგრძობდა მუშაობას. თეატრში შეიქმნა მაგარი და ნიჭიერი ბირთვი რეჟისორისა, მხატვრებისა, მუსიკოსებისა; თეატრში მუშაობდნენ შ. აღსაბაძე, კ. პატარიძე, ი. ტალია, ირ. გამრეკელი, ახალგაზრდა დიმიტრი თავაძე, ვ. გოკიელი, გ. კილაძე; მსახიობები გ. დავითაშვილი, გ. დავითაშვილი, ა. ვასაძე. წამოიზარდნენ ახალგაზრდა ნიჭიერი ძალები: ე. ლორთქიფანიძე, ი. აბაშიძე, ლაღიძე და მრავალი სხვანი. სანდრო ეთიურსა და მარადიულ მხარეს დიდ ყურადღებას აქცევდა და შემოქმედებითი დისციპლინა ხომ სამაგალითო იყო. მძიმე მატერიალურ პირობებში გვიხდებოდა მუშაობა, მაგრამ იმდენად გვიტაცებდა შემოქმედებითი საკითხები, რომ თეატრში დღე და ღამეს ვატარებდით. ახმეტელმა შექმნა მეგობრული, ამხანაგური ატმოსფერო კოლექტივში და ჩვენ ყველას თეატრი საკუთარ ოჯახად მიგვაჩნდა.

შეკრული იყო არამარტო შემოქმედებითი პერსონალი, არამედ მთელი ტექნიკური პერსონალი. ბევრ მსახიობს სურდა ჩვენს დასში მოხვედრა, მაგრამ სანდრო არ ღებულობდა ინტრიგანებს, უნიჭოებს და ცერბერივით ედგა დარაჯად კოლექტივის ერთსულოვნებასა და მთლიანობას.

**იქ კი, მარჯანიშვილის თეატრში, თავი იჩინა უზნეობამ, გარყვნილობამ. სიმართლე უნდა ითქვას, დ. ანთაძე ებრძოდა ამ უმსგავსობას, მაგრამ ვერას გახდა. კოტე გულგრილად ეკიდებოდა თეატრის ეთიურსა და მორალურ მხარეს. კარიერისათვის რას არ სჩადიოდნენ. თვითონ წამყვან მსახიობებში დაირღვა ერთსულოვნება, წარმოიდგინეთ — ზესტაფონელებს შორისაც კი. გამოვყოფ უ. ჩხეიძეს, რომელიც წუხდა კოლექტივში შექმნილი მდგომარეობის გამო. არაერთხელ მე და ჩხეიძე ღამით გავსულვართ ქალაქგარეთ, დავმსხდარვართ რომელიმე რესტორანში და საათობით გვიმსჯელია, როგორ გვეშველა არეულ-დარეული საქმისათვის.**



**მე და ჩხეიძე ღამით გავსულვართ ქალაქგარეთ, დავმსხდარვართ რომელიმე რესტორანში და საათობით გვიმსჯელია, როგორ გვეშველა არეულ-დარეული საქმისათვის.**

თუ თეატრში ყველა თავისი ანგარიშით მოდის, თუ თეატრის კოლექტივის დამაკავშირებელია ყოველი მსახიობისადმი დაპირებები და ყველა ელის ხელმძღვანელობის მიერ დანაპირების განაღდებას — იქ კოლექტივი არ არის, არც რაიმე იდეურობას უნდა ვეძებდეთ — ასეთი კოლექტივი ვერ შექმნის თეატრს. ვითომდა საქმის გამოსწორების მიზნით, წამყვანი მსახიობები აშკარად ერეოდნენ კოტეს ფუნქციებში, შეიქმნა მრავალი დაჯგუფება. ყველა იმ ჯგუფს აერთიანებდა მხოლოდ რუსთაველის თეატრისადმი სიძულვილი, სხვა საკითხში ერთმანეთს ჭამდნენ. ბევრი იყო შემთხვევა, რომ მარჯანიშვილის კოლექტივიდან მოსულან მსახიობები სანდროსთან და უთხოვიათ უკან დაბრუნება. ქეიფობა, ლოთობა, ბოჰემური ცხოვრება, ზოგიერთის გარყვნილობა ედო სარჩულად იმათი კოლექტივის ზნეობრივ მხარეს. კოლექტივი ისე დაიშალა, რომ დაიწყეს კოტეს კრიტიკა და დამუშავება. ამ საქმეში პრიორიტეტი ეკუთვნის ვ. ანჯაფარიძეს და შემდეგ დ. ანთაძეს.

საქმე იქამდე მივიდა, რომ დელეგაცია ანჯაფარიძის მეთაურობით ხშირად დადიოდა ცეკაში თხოვნით, მოეშორებინათ კოტე თეატრიდან. აბრალებდნენ გარყვნილობას, საქმის ცუდ გაძღოლას, თეატრში გარყვნილი ქალების ყოლას და სხვა ასეთი. ხაშურში საზაფხულოდ ყოფნის დროს ვ. ანჯაფარიძემ ააჯანყა თეატრის ახალგაზრდობა და ავადმყოფ კოტეს თითქმის სასამართლო გაუმართეს. ახალგაზრდობამ ანჯაფარიძესთან ერთად დატოვა თეატრი, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ ანჯაფარიძე დაბრუნდა თეატრში და ახალგაზრდობა კი გარეთ დარჩა.

კოტეს გული აუცრუვდა თავის თეატრზე და აიღო მოსკოვის თეატრებში დადგმები.

ერთხელ მოსკოვში ყოფნის დროს ხელოვნების სამმართველოს უფროსთან შ. დუდუჩავასთან მივიდნენ ანჯაფარიძე, ღამბაშიძე, ანთაძე, თუ არ ვცდები — უ. ჩხეიძეც, და გადასცეს ხელმოწერილი განცხადება, სადაც მოითხოვდნენ „გამოჩერჩეტებული მოხუცის“ მოშორებას (ეს გაგონილი მაქვს თეატრალური მუზეუმის დირექტორ გ. ბუხნიკაშვილისგან). დუდუჩავამ უპასუხა დელეგაციას, რომ ასეთი დიდი საქმე მის კომპეტენციაში არ შედიოდა, დაპირდა, ეცნობებინა ხელმძღვანელი ამხანაგებისათვის. შემთხვევით იქ მყოფ ბუხნიკაშვილს განცხადების ასლი გადაუღია და ეს ასლი დღესაც, თურმე, მის არქივში ინახება.

მოსკოვიდან დაბრუნებულ კოტეს ხელოვნების სამმართველოში შეუვლია. დუდუჩავას გადაუცია კოტესათვის დელეგაციის მოთხოვნა მისი თეატრიდან მოშორების შესახებ. მოხუცს გული წასვლია და იატაკზე დავარდნილა.

**მალე კოტე ისევ მოსკოვს გაემგზავრა. იქიდან გამოუგზავნა წერილი ახმეტელს დაახლოებით ასეთი შინაარსის: ძვირფასო საშა! ნება მომეცი დავბრუნდე შენს თეატრში რიგით რეჟისორად. ვიმუშავებ შენი ხელმძღვანელობით. მე ვაჩვენებ, ამ უმადურ ღორებს!**

გავიდა ცოტა დრო და მოვიდა ცნობა კოტეს უეცარი გარდაცვალების შესახებ. „კოტეს მოწაფეებმა“ სასწრაფოდ დაიბრუნეს განცხადება. და მის შემდეგ ნიანგის ცრემლებით დასტირიან კოტეს სახელს. ამაზე შორს ცინიზმი ვერ წავა. თავიანთ მასწავლებელს ჯერ სისხლი გაუშრეს და შემდეგ სიცოცხლეც მოუსწრაფეს, დღეს კი დადიან და კოტეს სახელით ვაჭრობენ, საფლავშიაც არ ასვენებენ მოხუცს. წარმოუდგენელია ასეთი პირმოთნეობა და ორგულობა. დღეს სჭირდებათ კოტეს სახელი ქართულ თეატრში თავიანთი პოზიციების გასამაგრებლად და კვლავ განაგრძობენ რუსთაველის თეატრის გინებას.

არ ასვენებენ ახმეტელსა და მის მომხრეებსაც — ალბათ, ეშინიათ — ვაითუ, სიყალბე კოტესადმი სიყვარულისა გამოაშკარავდეს და დღეს პირზე საკოცნელი სახე ხვალ ჩასაფურთხებელი გახდეს. ამ ხალხს ავიწყდება, რომ ამქვეყნად და ისიც საბჭოთა პირობებში, არაფერი დაიმალება და სიმართლე სააშკარაოზე გამოვა.

მარჯანისტების ვექილები გაიძახიან — **„კოტე რუსთაველის თეატრმა მიიყვანა სიკვდილამდე. ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებს კოტეს ცრემლებს, როდესაც ქუთაისში მიდიოდა“.**

რა უსინდისობაა და პროვოკაცია. მომდევნო თაობა მისწვდება სიმართლეს და სააშკარაოზე გამოიტანს, თუ რა ტრაგედია დაატრიალეს კოტეს თავზე მისმა გამოზრდილ-„მოწილეებმა“.

კოტეს გარდაცვალების ამბავმა თავზარი დასცა რუსთაველის თე-



**საქმე იქამდე მივიდა, რომ დელეგაცია ანჯაფარიძის მეთაურობით ხშირად დადიოდა ცეკაში თხოვნით, მოეშორებინათ კოტე თეატრიდან.**

**გაგრძელება,**

**დასაწყისი იხილეთ „სრ“ №24, 25, 28-29, 30, 31, 32**

საქართველოს რესპუბლიკა



თამარ ჭავჭავაძე, სანდრო ახმეტელი, აკაკი ხორავა. (ეროვნული არქივი)

ატრის კოლექტივს და, განსაკუთრებით, სანდროს. მან მოიწვია კრება და აცნობა დასს ეს შემზარავი ამბავი. სანდრო ლაპარაკს ვერ ახერხებდა — ცრემლები ახრჩობდა. რასაკვირველია, ჩვენი აღშფოთება მიმართული იყო იმ ხალხისკენ, ვინც კოტე სიკვდილის პირამდე მიიყვანა. ვაცხადებ კატეგორიულად — პირველები, რომლებმაც დაურხიეს სანდროს ხმა, რომ ის ნაციონალისტია, ფაშისტია, საბჭოთა ხელისუფლების მტერია და სხვა ამდაგვარი — იყვნენ „მარჯანიშვილისტები“, რომლებიც მისი და რუსთაველის თეატრის მუშაკების წინააღმდეგ პოლიტიკურ პროვოკაციებსაც კი არ ერიდებოდნენ.

არ შეიძლება, ადამიანი ფაშისტი იყო და ამავე დროს, უაღრესად რევოლუციონერულ წარმოდგენებს დგამდე, წარმოდგენებს, რომლებიც საბჭოთა საზოგადოებრიობის და პრესის მიერ აღიარებული იყო, როგორც დიდი მიღწევა პარტიის ეროვნული პოლიტიკისა და, მეორეც, გამოსახულება გამარჯვებული მუშისა და გლეხის რევოლუციური სულისკვეთებისა. და, აკი, ამიტომაც რუსთაველის თეატრმა ჩვენი კავშირის ხალხთა თეატრალურ ოლიმპიადაზე პირველი ხარისხის პრემია მიიღო და დაისვა საკითხი თეატრის უცხოეთში გაგზავნის შესახებ. გულს შემოყრილ „მარჯანიშვილისტებს“ რომ როგორმე დაემცირებინათ რუსთაველის თეატრის გამარჯვებები, ხმას არხევდნენ, რომ საქებარ რეცენზიებს თითქოს ახმეტელი აწერინებდა. რა უკბილო და უსუსური ბრალდებაა — განა შეიძლებოდა, რომ პარტიული და საბჭოთა პრესა მოესყიდა ახმეტელს, განა შეიძლებოდა, ლუნაჩარსკის, თ. კონის, ბესკინის, კრუტის, ვოლკოვის და ასეთ მოღვაწეთა, მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ხარკოვის თეატრების მოსყიდვა, რომ მათ ეთქვათ, რუსთაველის თეატრისაგან შეიძლება ბევრი ვისწავლოთო? როგორ შეიძლებოდა უცხოელ კრიტიკოსთა მოსყიდვა, რომლებიც აღფრთოვანებულ წერილებს უძღვნიდნენ ჩვენს წარმოდგენებს?! როგორ შეიძლებოდა ყოველ საღამოს მაყურებლებით სავსე დარბაზის მოსყიდვა, რომლებიც არნახულ ოვაციებს უმართავდნენ კოლექტივს და, ვერ იკავებდენ რა თავს, ქალი თუ კაცი, ახალგაზრდა თუ ხანდაზმული, ავარდებოდნენ ხოლმე პარტერიდან სცენაზე? **ეს იყო მაყურებლისა და მსახიობთა ჭეშმარიტი ერთიანობა, რომელშიც სჭვიოდა თეატრალური ხელოვნების ძლევამოსილება.**

ან როგორ უნდა მოესყიდა ვინმე ახმეტელს, იმხანად რუსეთში არავისთვის ცნობილ რეჟისორს, რომელიც ჩვენსავით ნახევრად მშიერ ცხოვრებას ატარებდა?!

მაგრამ, მაშინ, საქართველოში ინტრიგანებს, შურით გამოწვეულ ღვარძლგაჩენილთ თეატრის წინააღმდეგ გასავალი ჰქონდათ. მე მჯერა, რომ მომავალი თაობები აღადგენენ სიმართლეს და რუსთაველის თეატრის და ახმეტელის დიდ ღვაწლს ქართული თეატრის დიდების საქმეში.

ახმეტელის შემოქმედებაზე ცალკე მექნება ლაპარაკი.

●

**მე ჩასიძებული ვიყავი ჩემი მეუღლის მშობლების ოჯახში. ძალიან კარგად ვგრძნობდი თავს. მე და ჩემს მეუღლეს ცალკე ოთახი გვქონდა. მესხიშვილების ოჯახი მრავალრიცხოვანი იყო. ვცხოვრობდით ერთ ოჯახად, ტკბილად, შეხმატკბილებულად. არასოდეს მიფიქრია, ცალკე ბინაში გადავსულიყავ.**

ერთ დღეს მოვიდა ჩემთან ვასაძე და მითხრა: არც შენა გაქვს ბინა, არც მე. მოდი, ვთხოვოთ ბერიას, ახალ სახლებში მოგვცეს ბინები. თვითონ ცხოვრობდა მაშინდელ ვოზნესენსკის ქუჩაზე კარგა მოზრდილ ორ ოთახში. მე ვუთხარი, არ მინდა-მეთქი და უარზე დავდექი. მან იმდენი მიჩიჩინა რამდენიმე დღეს, რომ, მაინცადამაინც სიხარულით არ მოვკიდებულვარ ბინის საქმეს, მაგრამ განცხადებები მაინც დავწერეთ; მითხრა, რომ მოაწყობდა ბერიასთან ამ საკითხზე ჩვენს შეხვედრას.

ერთ დღეს გამაფრთხილა, ამ და ამ დროს გველოდებაო და ჩვენც წავედით.

**კოტეს გარდაცვალების ამბავმა თავზარი დასცა რუსთაველის თეატრის კოლექტივს და, განსაკუთრებით, სანდროს. მან მოიწვია კრება და აცნობა დასს ეს შემზარავი ამბავი. სანდრო ლაპარაკს ვერ ახერხებდა ცრემლები ახრჩობდა.**

ბერიას კაბინეტის უკან ჰქონდა კიდევ პატარა ოთახი — იქ მიგვიღო. აკაკი ესაუბრა ჩვენი უბინაობის შესახებ. ბერიაც დაგვპირდა. შემდეგ შეგვეკითხა, როგორ არის თეატრში მდგომარეობა, რატომ არ ვიწყებთ მუშაობას და სხვა.

**წინასწარ უნდა ვთქვა, რომ დეკადის შემდეგ დაისვა საკითხი ჩვენი თეატრის საფრანგეთში და ამერიკაში საგასტროლოდ გამგზავრების შესახებ. რასაკვირველია, კოლექტივი გახარებული იყო. ნახევარი სეზონი არა გაგვიკეთებია რა. დასი არ მუშაობდა გასტროლების მოლოდინში. ახმეტელიც გვარწმუნებდა, რომ დღეს-ხვალ მივიღებდით გამგზავრების ნებართვას. სეზონი არ გაგვიხსნია.**

რამდენიმე თვე უსაქმურად ვხეტიალობდით. ხალხი და ხელმძღვანელობა გვსაყვედურობდა უმოქმედობაზე. უმოქმედობის გამო კოლექტივი დიდ მატერიალურ სიძნელეებს განიცდიდა, თითქმის ვშიმშილობდით. დასში აქა-იქ გაისმოდა უკმაყოფილება უსაქმურად ხეტიალისა გამო და თითქმის ყველას გვსურდა, სეზონი დაგვეწყო, გვემუშავნა და, თუ გასტროლების ნებართვას მივიღებდით, მაშინ დაგვეწყო მისთვის მომზადება. რაკი სეზონს არ ვხსნიდით, მოგვცეს წინადადება, შეგვედგინა მხატვრული ბრიგადა და გაგვეწია მომსახურება კახეთის რაიონებისათვის.

შედგა ბრიგადა და გავემგზავრეთ გურჯაანის რაიონში. იქ გვეგულებოდა ერთი ჩვენი თეატრის მეგობარი გრიშა ალავიძე, რომელიც დაგვპირდა ჩვენი კონცერტების ხელის შეწყობას. მართალი რომ ვთქვათ, ქალაქში შიმშილმა შეგვაწუხა და წავედით სოფლად, რომ ცოტა მაინც მოვსულიერებულიყავით და ჩამოგვეტანა ცოტა რამ სურსათიდან, მაგრამ მაშინ მძიმე წლები იყო და სოფელსაც უჭირდა, ასე რომ, ჩვენმა მოგზაურობამ იმედები არ გაგვიმართლა. ღვინო და ჯონჯოლი — ეს იყო ჩვენი სუფრა: ყველს თუ ვიშოვიდით სადილად, ეს ხომ ბედნიერება იყო.

მე იმხანად არ ვიცოდი, თუ ბერიასა და ახმეტელს შორის შავმა კატამ გაირბინა.

მე ვუთხარი ბერიას ჩვენი კოლექტივის მდგომარეობა, გადავეცი კოლექტივის სურვილი სეზონის გახსნისა და ვთხოვე, რომ მოეხდინა გავლენა ახმეტელზე და სეზონი გაგვეხსნა.

ბერიამ ამაზე გვიპასუხა: **„თქვენ საზღვარგარეთ არ წახვალთ. მე თქვენ გამგზავრება ჩაგიშალეთ. იცით თუ არა, რომ ახმეტელმა იქ დარჩენა გადაწყვიტა? თქვენ იქ დაიღუპებოდით! მე თქვენ გადაგარჩინეთ! გამგზავრებაზე მეტი აღარ იფიქროთ! უმჯობესია მუშაობას შეუდგეთ!**

მეხივით დამეცა ბერიას სიტყვები. როგორ შეგვეძლო, ბერიასთვის არ დაგვეჯერებინა. — მას უზარმაზარი ავტორიტეტი ჰქონდა ხალხში და ეჭვსაც კი ვერავინ გაივლებდა გულში, რომ ბერია აღმოჩნდებოდა ხალხის მოღალატე, როგორც ეს ბოლოს გვითხრეს. რასაკვირველია, ბერიას სიტყვებში ეჭვი არ შემიტანია და არც შემეძლო, არ დამეჯერებინა. ამას ხომ ბერია ამბობდა — „ყოვლისშემძლე“ და „ყოვლისმცოდნე“.

ბინებს დაგვპირდა და გულმოკლულნი გამოვედით ცეკადან. დამავიწყდა, მეთქვა, ბერიამ კიდევ თქვა: **თქვენ დაბრმავებული ხართ! მისი ყოველი სიტყვისა გჯერათ, თვალებდაფსილებივით მიჰყვებით! ჩვენ ყველამ ვიცით მის შესახებ.**

**(გაგრძელება იქნება)**



**გავიდა ცოტა დრო და მოვიდა ცნობა კოტეს უეცარი გარდაცვალების შესახებ. კოტეს მოწაფეებმა სასწრაფოდ დაიბრუნეს განცხადება. და მის შემდეგ ნიანგის ცრემლებით დასტირიან კოტეს სახელს. ამაზე შორს ცინიზმი ვერ წავა. თავიანთ მასწავლებელს ჯერ სისხლი გაუშრეს და შემდეგ სიცოცხლეც მოუსწრაფეს, დღეს კი დადიან და კოტეს სახელით ვაჭრობენ, საფლავშიაც არ ასვენებენ მოხუცს.**



აშშ-ის გაზეთ „ნიუ-იორკ თაიმსში“ (The New York Times) გამოქვეყნებულია სტატია სათაურით „ამერიკა - მსოფლიოში ბოროტების სულისჩამდგმელი?

კრემლი — რუსებს: „ნუ ვიჩქარებთ ასეთ შეფასებებში“ (ავტორი – ანტონ ტროიანოვსკი, NYT-ის მოსკოვის ბიუროს ხელმძღვანელი).

გთავაზობთ პუბლიკაციას მცირე შემოკლებით:

The New York Times

# „ამერიკა – მსოფლიოში ბოროტების სულისჩამდგმელი?“



## კრემლი – რუსებს: „ნუ ვიჩქარებთ ასეთ შეფასებებში“

**როგორც კი პრეზიდენტი დონალდ ტრამპი რუსეთისკენ გადაიხარა, კრემლის პროპაგანდისტულმა მანქანამაც ტონალობა შეცვალა.**

**იანვრის ბოლოს, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი შაბლონური სიტყვით გამოვიდა არასამთავრობო ორგანიზაციის „საერთაშორისო საქმეთა რუსული საბჭოს“ (PCMD) საერთო კრებაზე და „კოლექტიური დასავლეთი“ გააკრიტიკა, რომელიც აშშ-ის ხელმძღვანელობით „ჰეგემონისტურ და ეგოისტურ პოლიტიკას ატარებს“. თუმცა არ გასულა 5 კვირა და მსოფლიო დიპლომატიის 74 წლის ვეტერანის რიტორიკა თავბრუდამხვევად შეიცვალა.**

რუსეთის სახელმწიფო ტელეარხისადმი მიცემულ ინტერვიუში კვირას, ორ მარტს სერგეი ლავროვმა ჩამოთვალა ის უბედურებები და საშინელებები, რომლებიც მსოფლიოს თურმე ამერიკამ კი არა, არამედ... ევროპამ მოუტანა. მინისტრისთვის რომ მოგვესმინათ, ალბათ, ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩებოდათ, რომ ამერიკა ბოროტი გენიიდან უწყინარ დამკვირვებლად გადაიქცა: **„კოლონიზაციები, ომები, ჯვაროსნები, ყირიმის ომი, ნაპოლეონი, პირველი მსოფლიო ომი, ადოლფ ჰიტლერი... თუ ისტორიას რეტროსპექტულად გადავხედავთ, ამ უბედურებებში ამერიკელებს არავითარი წამქეზებლური და, მით უმეტეს, არანაირი ცეცხლგამჩენი როლი არ შეუსრულებიათ“**, – განაცხადა რუსეთის მთავარმა დიპლომატმა.

**„კოლონიზაციები, ომები, ჯვაროსნები, ყირიმის ომი, ნაპოლეონი, პირველი მსოფლიო ომი, ადოლფ ჰიტლერი... თუ ისტორიას რეტროსპექტულად გადავხედავთ, ამ უბედურებებში ამერიკელებს არავითარი წამქეზებლური და, მით უმეტეს, არანაირი ცეცხლგამჩენი როლი არ შეუსრულებიათ“.**

დონალდ ტრამპი ამერიკის საგარეო პოლიტიკაში „რევოლუციურ გადატრიალებას“ აწყობს – ყველაფერს 180 გრადუსით ცვლის, მაგრამ არანაკლები გადატრიალება ხდება რუსულ დიპლომატიაშიც – თანაც არამარტო უშუალოდ კრემლში, არამედ სახელმწიფო ტელევიზიაშიც. ახალი გზავნილი ასეთია: **„აშშ, როგორც ჩანს, არც ისე ცუდი ქვეყანაა“.**

პრაქტიკულად, როლები ელვისებურად შეიცვალა და ახლა ანტირუსული პოლიტიკის მთავარ გამტარებელ-წამქეზებლად, რუსული რიტორიკის თანახმად, ევროპა გახდა, ამერიკამ კი უკანა პლანზე გადაინაცვლა. თავის ყოველკვირეულ გადაცემაში, რომელიც ტელეარხ „როსია-1“-ის ეთერში გადის, წამყვანმა დიმიტრი კისელევმა განაცხადა, რომ ევროპის „ომის პარტია“ თავის ძირგამომთხრელ პოლიტიკას ვეღარ გაატარებს: ჰორიზონტზე მოჩანს „დიდი სამეული“ – აშშ, რუსეთი და ჩინეთი. სწორედ მათ შეუძლიათ მსოფლიოს ახალი კონსტრუქციის შექმნა“.

ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში კრემლის პროპაგანდისტული მანქანა ამერიკის შეერთებულ შტატებს რუსეთისათვის მთავარ საფრთხობელად წარმოსახავდა – მას ხან „ჰეგემონად“ ნათლავდნენ, ხან „ოკეანისგაღმელ უფროსად“... კრემლი შთააგონებდა მოსახლეობას: ამერიკას რუსეთი სძულს და მოსკოვის წინააღმდეგ ამხედრებს ხან ევროპელებს, ხან უკრაინელებს, ხანაც ყველა ჯურის ტერორისტებს.

თეთრ სახლში დონალდ ტრამპის დაბრუნების შემდეგ რუსეთის ოფიციალურმა პირებმა თავდაპირველად განაცხადეს, რომ მაინცდამაინც დიდი არაფერი შეიცვლება: **„განსხვავება ჯო ბაიდენისა და დონალდ ტრამპის ადმინისტრაციებს შორის მხოლოდ ტერმინოლოგიურად იქნება გამოხატული“**, – განაცხადა სერგეი ლავროვმა 30 იანვარს, **(PCMD)**-ის საერთო კრებაზე.

მაგრამ შემდეგ, როცა 12 თებერვალს დონალდ ტრამპსა და ვლადიმერ პუტინს შორის სატელეფონო საუბარი გაიმართა, რასაც ერ-რიადში მოლაპარაკება მოჰყვა და ბოლოს – ეპოქალური ხმის მიცემა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციისადმი, როცა აშშ რუსეთის მხარეზე დადგა, მკაფიოდ გამოიკვეთა მოვლენათა „პრორუსული თანმიმდევრობა“... ამას დაემატა თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში მომხდარი სკანდალი, როცა დონალდ ტრამპმა და ჯეიმს ვენსმა ვოლოდიმირ ზელენსკის „ყური აუწიეს“.

მოკლედ, თითზე ჩამოსათვლელ დღეებში ნათელი გახდა, რომ დონალდ ტრამპის პრეზიდენტობის მეორე ვადის დროს ამერიკა, პირველთან შედარებით, უფრო პრორუსულ პოლიტიკას გაატარებს.

ცვლილებებს ტონი მისცა თვითონ ვლადიმერ პუტინმაც. ლიდერმა, რომელიც ცოტა ხნის წინათ დასავლეთს, აშშ-ის მეთაურობით, „რუსეთის დაშლისა და გაძარცვის“ მცდელობაში ადანაშაულებდა, გასულ კვირას თეთრ სახლს შესთავაზა ერთობლივად ისარგებლონ რუსეთის წიაღში არსებული იშვიათმიწა ლითონების საბადოებით, ერთად გააფართოონ ალუმინის გამოდნობა ციმბირის ქარხნებში...

გასულ პარასკევს, სულ რაღაც რამდენიმე საათით ადრე თეთრ სახლში ვოლოდიმირ ზელენსკის დატუქსვამდე, ვლადიმერ პუტინმა თავისი ახალი პროამერიკული გზავნილი სრულიად მოულოდნელ ადგილზე გააჟღერა – რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის ყოველწლიურ კრებაზე, ანუ იმ სპეცსამსახურისა, რომელიც დასავლეთთან მოსკოვის ფარული ბრძოლის წინა ხაზზე იმყოფება.

ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ მოლაპარაკება ტრამპის ადმინისტრაციასთან „საკმაოდ კეთილი იმედების შთამაგონებელია“, შეაქო აშშ-ის პრეზიდენტი პრაგმატიზმის გამოვლენისათვის და მოუწოდა კრების მონაწილეებს (კონტრმზვერავებს!) წინ აღუდგნენ იმ ადამიანებს, რომლებიც „ხელს შეუშლიან ან კომპრომეტაციას გაუწევენ დაწყებულ დიალოგს“.

ვაშინგტონთან დამოკიდებულებაში ასეთი რადიკალური შეტრიალება იმდენად მოულოდნელი და სწრაფი აღმოჩნდა, რომ როცა კვირას რუსეთის სახელმწიფო ტელევიზიის რეპორტიორმა კრემლის წარმომადგენელს დიმიტრი პესკოვს ჰკითხა, „როგორ შეიძლება ასე მოხდეს? თქვენ ხომ ახლახან აცხადებდით, რომ რუსეთი და ამერიკა პრაქტიკულად ერთმანეთის მტრები ვართო“, დიმიტრი პესკოვმა უპასუხა: **„ამის განჭვრეტა მართლაც შეუძლებელი იყო. აშშ-ის ახალი ადმინისტრაცია სწრაფად ცვლის ყველა საგარეო პოლიტიკურ კონფიგურაციას... მისი მოქმედება გვერად ემთხვევა ჩვენს ხედვებს“.**

კრემლის იდეოლოგები და პროპაგანდისტები მთელი ძალებით ცდილობენ რუსების დახმარებას ამ ყველაფრის გააზრებაში. ზოგიერთი კომენტატორი ისტორიულ წიაღსვლებს აკეთებს მსგავსი ფაქტებისა და პრეცედენტების ძიებაში – დაწყებული ეკატერინე მეორის უარით დახმარებოდა დიდ ბრიტანეთს ამერიკული რევოლუციის – დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ჩახშობაში (1775-1783 წ.წ.). არიან ისეთებიც, რომლებიც ამტკიცებენ, რომ შეიცვალა ამერიკელი ამომრჩეველი: **„ამერიკელი ხალხი გლობალური იმპერიისაგან დაიღალა“**, – განმარტა გასულ კვირას რეჟისორმა კარენ შახნაზაროვმა, რომელიც მუდმივად მონაწილეობს სახელმწიფო ტელევიზიის თოქ-შოუებში.

ევგენი პოპოვმა, რუსეთის სახელმწიფო ტელევიზიის პოპულარული ყოველდღიური პოლიტიკური გადაცემის „60 წუთის“ წამყვანმა „ნიუ-იორკ თაიმსთან“ საუბარში ხაზი გაუსვა, რომ ლაპარაკი აშშ-სთან თანამშრომლობაზე რაიმე საკვირველებას არ წარმოადგენს – ყველასათვის ცნობილია, რომ ბევრი ამერიკული კომპანია მუშაობდა საბჭოთა კავშირის დროს, ჯერ კიდევ კომუნისტური ხელისუფლების პერიოდში. **„ჩვენ სრულიად ნორმალური პროცესების მომსწრენი ვხდებით“**, – ამბობს ევგენი პოპოვი, **– ჩვენ გვსურს მშვიდობიანი, კონსტრუქციული და პრაგმატული – და, რაც მთავარია – თანასწორი ურთიერთობები ამერიკასთან“.**

თუმცა ევგენი პოპოვმა იქვე აღნიშნა, რომ უკრაინისათვის მიწოდებული ამერიკული იარაღით ომში რუსი ჯარისკაცები იღუპებიან და განაცხადა, რომ არ სჯერა რუსეთ-ამერიკის სწრაფი დაახლოებისა – იმ ქვეყანასთან დამეგობრება, **„რომლის ტანკები ჩვენს ბიჭებს ხოცავენ“.**

მისი გადაცემის „60 წუთის“ სტუმრები კიდევ უფრო შორს წავიდნენ – სათათბიროს წევრი კანონმდებელი და აშკარა მილიტარისტი ალექსი ჟურავლიოვი, რომელიც იმით გახდა ცნობილი, რომ ამერიკას ბირთვული რაკეტებით ემუქრებოდა, გასულ კვირას „60 წუთში“ განაცხადა, რომ რუსეთს და ამერიკას შეუძლიათ ერთმანეთს დაუმეგობრდნენ და პლანეტა ერთად მართონ.

**„ჩვენ დონალდ ტრამპს ვჭირდებით, – თქვა ალექსი ჟურავლიოვმა, – გვჭირდება თუ არა ჩვენც დონალდ ტრამპი? დიახ, გვჭირდება. ემთხვევა თუ არა ერთმანეთს ჩვენი ინტერესები? ემთხვევა. ვის წინააღმდეგ? ევროკავშირის წინააღმდეგ“.**

რუსეთის ინტერესს აშშ-სთან დაახლოების საკითხში საფუძველი აქვს პირადული კავშირებითაც, განსაკუთრებით კულტურისა და კომერციულ ელიტებს შორის. ივანე კურილა, რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობის მკვლევარი უელსის კოლეჯიდან (მასაჩუსეტსის შტატი) ხაზს უსვამს, რომ რუსი და საბჭოთა მმართველები ამერიკას დიდი ხნის განმავლობაში თვლიდნენ როგორც მტრად, ასევე მისაბაძ ქვეყნად, თანაც ეს მიბაძვა ეხება აშშ-ის ეკონომიკურ ძლიერებასაც და მის თავდაჯერებულობას მსოფლიო არენაზე. **„ასეთი გაორება აშშ-სთან მიმართებით დიდი ხანია არსებობს“**, – ამბობს პროფესორი ივან კურილა, რომელიც გასულ წლამდე ლექციებს სანკტ-პეტერბურგის ევროპულ უნივერსიტეტში კითხულობდა.

ევგენი პოპოვმა, რომელიც ადრე რუსეთის სახელმწიფო ტელევიზიის კორესპონდენტი იყო ნიუ-იორკში, ჩამოთვალა საერთო მომენტები რუსეთისა და აშშ-ისთვის: ძლიერი აღმასრულებელი ხელისუფლება, პროტექციონისტული პოლიტიკა, მრავალრიცხოვანი არმიები, საბაზრო ეკონომიკა და ძლიერი სამართალდამცველი სტრუქტურები.

**„ჩვენ ორივეს პოლიციური სახელმწიფოები გვაქვს, ამ სიტყვის კარგი გაგებით“**, – განაცხადა ევგენი პოპოვმა ჩემთან ვიდეოზარის დროს, როცა იგი მოსკოვურ „საცობში“ იყო გაჭედილი. საუბრის ბოლოს მან უშუალოდ მიმართა ამერიკელებს: **„თუ გსურთ გაიგოთ, რას ფიქრობენ რუსები თქვენზე, სარკეში საკუთარ თავს შეხედეთ“.**

აშშ-სთან ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის ანაზდეულად გაჩენილმა პერსპექტივამ გაახარა რუსული საზოგადოება, რომელიც, სოციოლოგების თქმით, სულ უფრო იხრება უკრაინის ომის შეწყვეტისაკენ და თვლის, რომ ამ საკითხში აშშ-სთან მოლაპარაკება აუცილებელია.

სოციოლოგიური კვლევების „ლევადა-ცენტრმა“, არასამთავრობო ორგანიზაციამ შტაბბინით მოსკოვში, გასულ თვეში გამოარკვია, რომ რუსების 75% მხარს უჭერს უკრაინაში საომარი მოქმედებების დაუყონებლივ შეჩერებას (რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია 2023 წლიდან), ხოლო 85% იწონებს აშშ-სთან მოლაპარაკების დაწყებას. სხვათა შორის, ტრამპისა და პუტინის სატელეფონო საუბრების შემდეგ რუსეთის საფონდო ბაზრის რეიტინგი 10%-ით გაიზარდა, ამერიკული სანქციების შერბილებისა და ინვესტიციების დაბანდების იმედით.

* * *

**„სხვათა შორის, შეერთებულ შტატებში საკმაოდ ბევრია ისეთი ადამიანი, რომლებიც ტრადიციული ფასეულობების ერთგულნი არიან და ისინი ჩვენ მხარს გვიჭერენ. ჩვენ ეს ვიცით“**, – განაცხადა ვლადიმერ პუტინმა ჯერ კიდევ 2022 წელს.

მოამზადა
**სიმონ კილაძემ.**

**წყარო:** https://www.nytimes.com/2025/03/05/world/europe/russia-us-ukraine-trump-putin.html

**„ჩვენ დონალდ ტრამპს ვჭირდებით, – თქვა ალექსი ჟურავლიოვმა, – გვჭირდება თუ არა ჩვენც დონალდ ტრამპი? დიახ, გვჭირდება. ემთხვევა თუ არა ერთმანეთს ჩვენი ინტერესები? ემთხვევა. ვის წინააღმდეგ? ევროკავშირის წინააღმდეგ“.**

სამხრეთ კორეაში ჩატარებული საინტერესო კვლევის მიხედვით, დაბალი ქალები და მაღალი მამაკაცები ერთმანეთისთვის არიან შექმნილნი.

რა თქმა უნდა, სიმაღლე ყველაფერი არ არის – წყვილის ბედნიერებისთვის ფიზიკურ მიზიდულობაზე მეტია საჭირო. მაგალითად, ღია კომუნიკაცია, მოთმინება, ურთიერთგაგება და ნდობა. თუმცა, ეს ელემენტები მოგვიანებით, ურთიერთობის პროცესში ხდება მნიშვნელოვანი...

# დაბალი ქალი და მაღალი მამაკაცი, ისტორიულად, ყველაზე ბედნიერი წყვილი ყოფილა!

**მართალია, როდესაც ადამიანები პირველად ხვდებიან ერთმანეთს, ისინი მყისიერად აფასებენ ერთმანეთის გარეგნობას. ფიზიკური მიზიდულობა დიდ როლს თამაშობს ურთიერთობის საწყის ეტაპზე. თუ ქალი და მამაკაცი თავიდანვე არ გრძნობენ ამ ნაპერწკალს, ურთიერთობა უბრალოდ არ ვითარდება.**

ამასთან, მკვლევრებმა აღმოაჩინეს, რომ დაბალი ქალები ყველაზე დიდ ბედნიერებას მაღალ მამაკაცებთან გრძნობენ. და რაც უფრო დიდია განსხვავება, მით უკეთესი. აღსანიშნავია, რომ ევოლუციური ფაქტორები, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ქალის გადაწყვეტილებაში, აირჩიონ მაღალი მეწყვილე.

### რატომ არის სიმაღლე ასე მნიშვნელოვანი?

**კვლევისთვის მეცნიერებმა 7850 წყვილის მონაცემები შეისწავლეს. დასკვნის თანახმად, დაბალი ქალი ყველაზე ბედნიერი მაღალ მამაკაცთანაა. თანაც, რაც უფრო დიდია სიმაღლის სხვაობა, მით უფრო კმაყოფილია ქალი ურთიერთობაში. აღსანიშნავია, რომ თაფლობის თვის ეს ეტაპი დროთა განმავლობაში ქრება...**

მკვლევრებმა დაადგინეს, რომ ქორწინებიდან 18 წლის შემდეგ, მამაკაცის სიმაღლე ქალის ბედნიერებაზე გავლენას აღარ ახდენს. ამ დროისთვის, ქალის ბედნიერებას სხვა ფაქტორები ქმნიან.



**„ის ფაქტი, რომ ურთიერთობის საწყის ეტაპზე, მამაკაცის სიმაღლე ძლიერ გავლენას ახდენს ქალის ფსიქოლოგიაზე, სავარაუდოდ ევოლუციით არის განპირობებული“.**

### ისტორიულად, დაბალი ქალები ყოველთვის მაღალ მამაკაცებს ირჩევდნენ

**თანამედროვე დროშიც კი, ევოლუცია კვლავ დიდ როლს თამაშობს პარტნიორების არჩევის საკითხში. დაბალი ქალები უპირატესობას ანიჭებენ მაღალ მამაკაცებს, რადგან სიმაღლე უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობის გრძნობებთანაა დაკავშირებული. მაღალი მამაკაცი აღიქმება როგორც დომინანტური ხასიათის პარტნიორი, რაც მას ქალისთვის მიმზიდველ მეწყვილედ აქცევს. ამის მიზეზი ისაა, რომ ევოლუციურად, ქალისთვის მნიშვნელოვანი იყო ოჯახის დაცვა მტაცებლებისგან, ამიტომ, ბუნებრივია, რომ ის ძლიერ მამაკაცს აირჩევდა.**

თანამედროვე დროში ეს მსჯელობა ჯერ კიდევ მართებულია, თუმცა არა იგივე მიზეზით. ჩვენ აღარ გავურბივართ დათვებსა და ვეფხვებს, მაგრამ მაინც გვსურს უსაფრთხოება. სავარაუდოდ, კიდევ ბევრი საფრთხე არსებობს ჩვენს კონსტრუირებულ გარემოში; თუმცა, ეს აღარაა ისეთი უშუალო, როგორც გარეული ცხოველები.

დღეს სიმაღლე დაკავშირებულია წარმატებასთან. SSRN-ზე გამოქვეყნებულმა კვლევის მიხედვით, რეკრუტერები მაღალ მამაკაცებს უფრო სანდო და რესპექტაბელურ კანდიდატად თვლიან.

ქალისთვის უფრო მიმზიდველია ფინანსურად უზრუნველყოფილი მამაკაცი, ამის მიზეზი, კვლავ უსაფრთხოების განცდაა. ქვეცნობიერ დონეზე, მაღალი მამაკაცი უკავშირდება სტაბილურობასა და წარმატებას, რაც ითარგმნება როგორც საიმედო და უსაფრთხო პარტნიორი.

**ცხადია, ფული არ არის ყველაფერი, რაც უზრუნველყოფს სტაბილურობის განცდას. მაგრამ, ამის მიუხედავად, ქალი, რომელიც ცდილობს გადაწყვეტილების მიღებას, აუცილებლად განიხილავს მამაკაცის ფინანსურ მდგომარეობას.**

# თაობების აღმზრდელი



## ოლღა ხარაიშვილი იუბილარია

**აგრარული დარგის მეცნიერთა თაობების აღმზრდელი, აკადემიური დოქტორი, პროფესორი ოლღა ხარაიშვილი იუბილარია.**

პროფესორი ოლღა ხარაიშვილი დაიბადა (06.03.1956 წ.) ხობის რაიონში. დაამთავრა საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, ჰიდრომელიორაციის ფაკულტეტი, სპეციალობით აგრომელიორაცია (1979 წ). 1979-2011 წ.წ. მუშაობდა ამავე ინსტიტუტის სასოფლო-სამეურნეო ჰიდროტექნიკური მელიორაციის კათედრაზე; 2001 წლიდან დღემდე მუშაობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე პროფესორად; ასევე 2021 წლიდან დღემდე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის ირიგაციისა და დრენაჟის განყოფილების უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

გამოქვეყნებული აქვს 140 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 2 მონოგრაფია და 14 სახელმძღვანელო. მისი პროფესიული გამოცდილება მოიცავს, როგორც სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარებას, ასევე პედაგოგიურ მოღვაწეობას (45-წლიანი პედაგოგიური მოღვაწეობა).

პროფესორ ოლღა ხარაიშვილის ხელმძღვანელობით, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, დაცული იქნა 15 საბაკალავრო ნაშრომი, 10 სამაგისტრო ნაშრომი და 2 სადოქტორო დისერტაცია.

ქალბატონი ოლღა არის ადამიანი, რომელიც ყოველთვის გასცემს თანაგრძნობას და სიყვარულს. მისი კეთილი სული და მზრუნველი ბუნება, უპირობო სიყვარული და მხარდაჭერა ადამიანებისადმი ყველაზე დიდი საუნჯეა.

**გილოცავთ დაბადების დღეს! გვიყვარხართ უსაზღვროდ!**

თანამშრომლები

# ბრიუსელი და ლონდონი ვაშინგტონის წინააღმდეგ გაერთიანდნენ!..

(მესამე გვერდიდან)



**„ზელენსკი ევროპელების მიერ ისე არის გათავხედებული, ეტყობა, ეგონა, ბრიუსელის ჩინოვნიკებთან იჯდა და იქ როგორც გასდის ხელების ქნევა, თეთრ სახლშიც ასე გაუვიდოდა. მისი მასკარადი – თეთრ სახლში კიტელით გამოცხადებით, ცალკე შეურაცხყოფაა ამერიკის ადმინისტრაციის და პროტოკოლის.**

**თუ ომშია და სპორტულებით უნდა იაროს, მაშინ ველოსიპედით გადაადგილდეს. რად უნდა ეს დაცვა და ტროლეიბუსისხელა ავტომობილი?! ამ ადამიანის მასკარადს ერთხელ და სამუდამოდ ტრამპმა, ჯეი დი ვენსმა ბოლო მოუღეს. მთელი მსოფლიო ახლა ელოდება ტრამპის გადაწყვეტილებებს, სადაც მთელს მსოფლიოს წინასწარ აფრთხილებს, რომ ძალზე მნიშვნელოვანი გზავნილები იქნება გაჟღერებული. გამორიცხულია, რომ ზელენსკის წინაშე უკან დაიხიოს.**

**ზელენსკიმ სითავხედე და უზრდელობა ლონდონშიც გააგრძელა, როცა ანტიტრამპისტული სამიტი ვიხილეთ. ეს ტრამპის და მისი პოლიტიკის მისამართით გამოცხადებული ომის ტოლფასია. ბრიუსელი და ლონდონი კვლავ გაერთიანდნენ, ოღონდ ტრამპის წინააღმდეგ, რაც მათ ყველაზე ცუდად დაუბრუნდებათ უკან. ეს არის ძალები, რომელთაც ომის გაგრძელება სურთ“,** – ამბობს ქართველიშვილი.



მისივე თქმით, ლონდონი და ბრიუსელი ანტიტრამპისტულ მოძრაობაში გაერთიანდნენ და დასავლეთს ორ ბანაკად ყოფენ. ზელენსკის კი ფიზიკურად გადარჩენის პრობლემა აქვს, ამიტომ ის ამ ომის გაგრძელებას ნებისმიერ ფასად ცდილობს.

**„ზელენსკიმ ძალიან კარგად იცის, რომ თუკი მისთვის დაკისრებული როლი ბოლომდე არ შეასრულა, მას უბრალოდ, შესაძლოა, ფიზიკურად გადარჩენის საფრთხე ემუქრებოდეს.**

**ზელენსკის უკვე იმდენად უჭირს ხალხის ომში წაყვანა, რომ ქუჩიდან იტაცებენ ახალგაზრდებს და ფრონტის ხაზზე აგზავნიან. მიუხედავად იმისა, რომ ერთ დღეში გაქრა 15-მდე ოპოზიციური პარტია, დაიხურა ათობით ოპოზიციური მედია, ეს ხალხი კვლავ მორჩილად მის მოღალატეობრივ ქმედებებს წინააღმდეგობას არ უწევენ. ამ გაუბედურებული ქვეყნის და ხალხის გადარჩენა სურს ტრამპს, რომელსაც „დიფ სთეითის“ ბუდე ბრიუსელში და მათი ვარსკვლავბიჭუნა ზელენსკი წინააღმდეგობას უწევენ. ეს ვითარება დიდი ხანი ვერ გაგრძელდება. შესაძლოა ტრამპმა საპასუხოდ დატოვოს გაეროც და ნატოც. ეს კი ევროპის უსაფრთხოების სრულ ჩამოშლას ნიშნავს“,** – ამბობს ქართველიშვილი.

მოამზადა

ლიკა ბერიკაშვილმა

# მდაბიონი





ლობანოვსკის პატივგებას კახა კალაძეც ზეიმობს...

**ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის, სწორედაც რომ ზედგამოჭრილია თანამედროვე ქართული სახელმწიფოს მიმართ პოსტსაბჭოთა სივრციდან იურიდიულად თავდახსნილი, მაგრამ იდეური მრწამსით შიგ ჩარჩენილი ქვეყნების დამოკიდებულებაზე.**

იქნებ, ვაჭარბებ? – შეიძლება ასეც იყოს და უფრო ყეფის ნაცვლად წკავწკავი მიესადაგებოდეს ვითომ დამოუკიდებელი ბალტიისპირეთისა და, მით უმეტეს, უკრაინის წარმომადგენელთა მიერ ცალმხრივი მეგობრობის რეჟიმის ერთგული ოცნების ხელისუფლების მიმართ გამოთქმულ უსაგნო პრეტენზიებს, სინამდვილეში ოკეანისგაღმელ ლიბერალთა თუ ბრიუსელში მოკალათებულ ბიუროკრატთა ბინძური შეკვეთებით რომაა ნასაზრდოები. დიახ, ალბათ ასეცაა, ახლა კი კონკრეტიკაზე გადავიდეთ.

მაშ ასე, რამდენიმე დღის ინტერვალით ჯერ ესტონეთმა დაასანქცირა ეროვნული სპორტის ცოცხალი ლეგენდა **ლაშა ტალახაძე,** ხოლო შემდეგ ვიღაც უკრაინელმა მინისტრმა, გვარად ბიდნიმ, იქაური საერთაშორისო კლასის ოსტატის წოდება ჩამოართვა ახლო წარსულში მათი ხმაურიანი წარმატებების ერთ-ერთ სულისჩამდგმელს **კახი კალაძეს.**

ერთი შეხედვით, ალალი იქნებოდა აღნიშნული სადამსჯელო ოპერაციების ავტორებისადმი ჩვენს სამშობლოში გამოთქმული მრავალსართულიანი „დითირამბები“, მაგრამ თუ ემოციებს დავიოკებთ, პირიქით, მათ მადლობა უნდა შევაწიოთ. და აი, რატომ.

ჯერ ერთი, სავსებით ზუსტადაა ნათქვამი – ვირისგან წიხლი არაა საწყენიო. და მეორეც – ჩვენს საამაყო მამულიშვილთა ავტორიტეტი ძალად მედასავლეთეთა მორიგი გამოხდომით ოდნავადაც არ შებღალულა მაშინ, როცა მეორე მხარემ საბოლოოდ, უკვე მერამდენედ ჩამოიხსნა ნიღაბი. მართლაც, ჯერ ამჟამად პლანეტის მოსახლეობის რამდენი პროცენტისთვისაა ცნობილი ლიეტუველ, ლატვიელ, ესტონელ თუ უკრაინელ პოლიტიკანთა ვინაობა და მომავალში ხომ ისტორიის მტვერი მიეყრება მათ ცოდვილ სულებსა თუ სახელებს. ხომ ხედავთ განსხვავებას კაცუნათა და შერისხულთა ხვედრს შორის?

**ცნობისთვის: ესტონეთის ყოფილი პრემიერის, ამჟამად ევროკომისიის მაღალჩინოსნის კაია კალასის მეუღლე, ისევე როგორც ამხანაგ ბიდნის სიმამრი სხვადასხვა დარგში აქტიურად არიან ჩართულნი რუსულ ბიზნესში და მორალს ჩვენ გვიკითხავენ. აღარაფერს ვამბობ ისტორიულ ფაქტებზე, მაგალითად – უკრაინას სახელმწიფო და მეფე რომ არ ჰყოლია. ეს ისე, სხვათა შორის.**

**გია პლატონიშვილი**



# ტყვიას ტყვიაში...

**ხორვატიაში ახალგაზრდებს შორის ევროპის ჩემპიონატი მიმდინარეობს, სადაც საქართველოს ტყვიის მსროლელ გოგონათა ნაკრები მარიამ ფროდიაშვილის, მარიამ აბრამიშვილისა და მარიამ მარშავას შემადგენლობით 10 მეტრზე პნევმატური პისტოლეტით სროლაში კონტინენტის ჩემპიონატის გამარჯვებულია. ქართველმა სპორტსმენებმა ფინალში თურქეთის ნაკრები ანგარიშით 16:12 დაამარცხეს.**

საქართველოს ტყვიის მსროლელ გოგონათა ნაკრები გასულ წელს ფორუმის ვიცე-ჩემპიონი გახდა.

მიმდინარე ტურნირზე საქართველოს ანგარიშზე სამი ოქროსა და ერთი ბრინჯაოს მედალია. გუშინ ევროპის ჩემპიონობა იზეიმა საქართველოს ვაჟ ტყვიის მსროლელთა ნაკრებმაც გიორგი მუმლაძის, შოთა სუმბაძისა და იოანე ხვარეშიას შემადგენლობით. მათ ფინალში უკრაინის ნაკრებს ანგარიშით 16:6 სძლიეს.

გუნდურ ჩათვლაში 10 მეტრზე პნევმატური პისტოლეტით სროლაში ოქრო გოგონათა ნაკრებმა მარიამ აბრამიშვილის, მარიამ მარშავასა და მარიამ ფროდიაშვილის შემადგენლობით მიიღო. მათ 1711 ქულა დააგროვეს, რაც ევროპის რეკორდია. ინდივიდუალურ ასპარეზობაში კი მარიამ აბრამიშვილი 10-მეტრიან დისტანციაზე პნევმატური პისტოლეტით სროლაში ბრინჯაოს პრიზიორი გახდა.

ქართველი ტყვიის მსროლელები ევროპის პირველობაზე საქართველოს სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით იმყოფებიან.

# ომი გრძელდება



**ხომ გახსოვთ ალა პუგაჩოვას ცნობილი სიმღერა – მეფეებს ყველაფერი შეუძლიათო. თურმე, მეკარეებსაც ბევრი რამ ხელეწიფებათ.**

ამაში ყველა დაგვეთანხმება, ვინც პარი სენ-ჟერმენისა და ლივერპულის პირველ რაუნდს უყურა, მერვედფინალში რომ ჩემპიონთა ლიგის ნაადრევ ფინალადაც შეგვიძლია მოვნათლოთ.

კარში დარტყმებით მასპინძლებმა 27:2 იძალეს, აქედან ზუსტით – 10:1, მათ შორის 4 **ხვიჩა კვარაცხელიას** აქტივშია, მაგრამ საბოლოოდ სტუმრებმა გაიმარჯვეს – 1:0. მიხვდით, ალბათ – მატჩის გმირი ალისონ ბეკერი გახდა, რომელიც მომავალი სეზონიდან გიორგი მამარდაშვილმა უნდა შეცვალოს. ვერაფერს იტყვი – ქართველ ტალანტს ენფილდის გულის მოსაგებად დიდი ოფლისღვრა დასჭირდება.

სხვათა შორის, კვარამ ერთერთ ეპიზოდში ცაციათი დიდოსტატურად მოჭრა ბურთი და შორეული კუთხე დალაშქრა, მაგრამ გამეორების სისტემამ სანტიმეტრიანი ოფსაიდი აღმოუჩინა ქუსლით (იქნებ – აქილევსის?).

ასე რომ, დიდი სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობის მიუხედავად, ფრანგულმა გრანდმა პირველი ბრძოლა წააგო 0:1, მაგრამ ომი გრძელდება – საპასუხო შეხვედრა ბითლზების ქალაქში 11 მარტს გაიმართება.

**დანარჩენი შედეგები: რეალი – ატლეტიკო 2:1, ბრიუგე – ასტონ ვილა 1:3, ბაიერნი – ლევერკუზენი 3:0, ეინდჰოვენი – არსენალი 1:7, დორტმუნდი – ლილი 1:1, ფეიენოორდი – ინტერი 0:2, ბენფიკა – ბარსელონა – 0:1.**

# თავაწეულმა დატოვა

**ქართველმა** ჩოგბურთელმა **ნიკოლოზ ბასილაშვილმა** წლის პირველ მასტერსზე ინდიან უელსში გამოსვლა დაასრულა.

საკვალიფიკაციო ეტაპის წარმატებით გავლის შემდეგ ტურნირის ძირითად ბადეში ბასილაშვილი მსოფლიოს 48-ე ჩოგანს, ამერიკელ მარკოს გირონს შეხვდა და ორ სეტში 5:7, 6:7 (3:7) დამარცხდა.

პირველ სეტში გირონმა ერთადერთი ბრეიქი პარტიის მიწურულს შეასრულა, ხოლო მეორე სეტი ბასილაშვილის უპირატესობით დაიწყო, მეტოქის ჩაწოდებაც აიღო, თუმცა ბოლოს გირონი გააქტიურდა და ტაიბრეიქზე გაიმარჯვა.

მსოფლიოს მიმდინარე რეიტინგში, ინდიან უელსის ძირითად ბადეში მოხვედრით, ნიკოლოზ ბასილაშვილი 145-ე ადგილზე გადაინაცვლებს.

# ალბათ, მეშვიდედ

**სპორტის სათამაშო სახეობებში რეკორდსმენები მორაგბეები არიან, რომლებიც 2027 წელს ავსტრალიაში მსოფლიოს თასზე მეშვიდედ ითამაშებენ, ბორჯღალოსანთა უახლოეს მდევარ კალათბურთელთა მონაგარი კი 6 ევროპულ ფორუმში მონაწილეობაა.**

ჯერჯერობით მსგავსი შედეგი აქვთ წყალბურთელებსაც, თუმცა ადვილი შესაძლებელია ისინი წლეულსვე დაეწიონ ლიდერებს.

ასეთი ოპტიმისტური ვარაუდის გამოთქმის საფუძველს საკვალიფიკაციო ტურნირის წილისყრის შედეგები გვაძლევს, რომელმაც ჯვაროსნებს მეტოქეებად ისრაელი, შვეიცარია და ბულგარეთი „გამოუწერა“.

აღნიშნული კვარტეტი თბილისში შეიკრიბება და ფინალური რაუნდის საგზურს მხოლოდ გამარჯვებული დაეუფლება.



# სასახელო ფაქტები

**როგორც მოგეხსენებათ, 27 აგვისტოდან 14 სექტემბრის ჩათვლით საქართველოს ეროვნული ნაკრები ზედიზედ მეექვსედ ითამაშებს ევრობასკეტზე (ლატვია, ფინეთი, პოლონეთი, კვიპროსი).**

ეს წარმატება რომ ჰაერიდან არ მოსულა, სამამულო კალათბურთის საუკუნოვანი ისტორია ადასტურ;ებს, რომლის სასახელო ფურცლებსაც პერიოდულად გამცნობთ და მომავალშიც შეგახსენებთ. დიახ, მოვუფრთხილდეთ საამაყო ტრადიციებს და იმედის თვალით შევხედოთ მომავალს.

აქ გვინდა გავიხსენოთ საინტერესო შემთხვევები, რომელიც დიდი ხნის წინათ მოხდა და დღეს უკვე მივიწყების სქელ ნისლში გაეხვა. ჩვენ გადავწმინდეთ მივიწყების მტვერი და დღის სინათლეზე გამოვიტანეთ. ქართული სპორტის და პირველ რიგში, რა თქმა უნდა, კალათბურთის მოყვარულთათვის საინტერესო იქნება გავიხსენოთ ორი ფაქტი, რომელიც ქართული კალათბურთის ისტორიაში უნიკალური ინდივიდუალური შედეგია. აქ ცხადია, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ 1977 წლის 17 იანვარს მოსკოვში ცსკასთან მატჩში ლეგენდარულმა **ნიკოლოზ დერიუგინმა** თავის გუნდს შესძინა 57 ქულა, მაგრამ სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა გამარჯვებისთვის და არმიელებმა შეხვედრა მოიგეს 110:100.



კიდევ ერთი ასეთი თვალსაჩინო მიღწევა მეორე ლეგენდარული ქართველი კალათბურთელის **მიხეილ ქორქიას** სახელთანაა დაკავშირებული და მოხდა ერთი წლის შემდეგ. ეს იყო 1978 წლის 16 თებერვალს კაუნასში ადგილობრივ „ჟალგირისთან“ შეხვედრაში. მიხეილ ქორქიამ გუნდს 56 ქულა შესძინა, მაგრამ არც ამჯერად აღმოჩნდა ეს გამარჯვებისთვის საკმარისი. მასპინძლებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 141:127. ასეთმა დიდმა ანგარიშმა არ უნდა გაგაკვირვოთ, რადგან საბჭოთა კავშირში მაშინ ნბა-ს მსგავსად გადავიდნენ ოთხ 12-წუთიან ტაიმზე, მაგრამ შემდგომში ისევ დაუბრუნდნენ ორ ტაიმს ორმოცი წუთით.

აქ დავამთავრებდით საუბარს, რომ არა ერთი გარემოება, რომლის გვერდის ავლა გამართლებული არ იქნებოდა. ცხადია, აქ ვგულისხმობთ იმას, რომ ნიკოლოზ დერიუგინმა ამის გაკეთება მოასწრო 40 წუთში, ხოლო მიხეილ ქორქიამ 48 წუთში. განსხვავება სწორედ ამაში მდგომარეობდა.

ეს იყო საბჭოთა კალათბურთის ისტორიაში რეკორდი, ხოლო ევროპული კალათბურთის ისტორიაში ერთ-ერთი რეკორდი (კარგად არ მახსენდება, მაგრამ ერთ მატჩში, რომელიც არ ვიცი ოფიციალური იყო თუ არა, ცნობილ ქართველ მსახიობს **კოტე მახარაძეს,** რომელიც ახალგაზრდობაში კალათბურთს თამაშობდა და თბილისის „დინამოში“ ირიცხებოდა, 80 ქულა გაუკეთებია.)

**მერაბ კალანდაძე**

სულთათანა

# შალვა ვლადიმერის ძე არზუმანიანი



2025 წლის 1 მარტს გარდაიცვალა უკეთილშობილესი და ღირსეული მოქალაქე ჩვენი ქვეყნისა, ფინანსისტი, ეკონომისტი, იურისტი, უაღრესად განათლებული სამეურნეო მუშაკი, ჭეშმარიტი პროფესიონალი, საოცარი ადამიანური თვისებებით გამორჩეული პიროვნება, სამტრედიის ნამდვილი კოლორიტი შალვა არზუმანიანი.

დაიბადა 1961 წლის 25 სექტემბერს ქ. სამტრედიაში. 1981 წლიდან 2003 წლის ჩათვლით მუშაობდა ქ. სამტრედიის რაიონულ სასამართლოში აღმასრულებლის თანამდებობაზე, აღნიშნულ წლებში იყო სააღსრულებლო ბიუროს უფროსი. 2014-დან 2022 წლის ჩათვლით მუშაობდა ქ. სამტრედიის საკრებულოში, საფინანსო და საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ. 2023 წლიდან დღემდე მუშაობდა გაზეთ „სამტრედიის მაცნეს“ დირექტორის (გამომცემლის) თანამდებობაზე.

ყველგან, სადაც ძვირფას შალვას მოუწია მუშაობა, უდიდესი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა.

ნათელი დაადგეს მის უკვდავ სახელს!

მსუბუქი იყოს მისთვის ქართული მიწა.

გივი ჭიჭინაძე, სამველ მანუკიანი, დავით ბახტაძე, მელქონ მაკარიანი, ბაჩო სტურუა, ნაირი ირიციანი, ვან ბაიბურთი, სპარტაკ ქოზულია, ლაშა ნადარეიშვილი, გიორგი მამაცაშვილი, მერაბ უღრელიძე, ვალერი ფოცხვერია, ჰამაიაკ არსენიანი, ქეთევან ჭელიძე, მარტინ მარტიროსიანი.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს

სსე

# განცხადება

## ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2025 წლის 28 თებერვლის N1-1/65 ბრძანების შესაბამისად

საქართველოს მთავრობა ახორციელებს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ს (შემდგომში: „სსე“) მიერ შემუშავებულ „ენერგეტიკის სექტორის ღია პროგრამას“, რაც მოიცავს ელექტროგადამცემი სისტემის ნაწილის განვითარებას, მშენებლობას, რეაბილიტაციას, ასევე ქვესადგურების გაფართოებას. ,,წყალტუბო-ახალციხის“ პროექტი ითვალისწინებს 97 კმ სიგრძის 500 კვ-იანი საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის (ეგხ) მოწყობას არსებული წყალტუბოს ქვესადგურიდან ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ზიკილიაში არსებულ ქვესადგურამდე.

500 კვ. **ეგხ** ,,წყალტუბო-ახალციხის'' მშენებლობის პროექტის ფარგლებში, წარმოიშვა **ეგხს** ზემოქმედების არეალში მოქცეული, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფელ გუმბრაში მდებარე ელისო ქაროსანიძის (პ/ნ 60001060760) საკუთრებაში არსებული 1324 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ 29.09.48.396) ნაწილის, კერძოდ, 267 კვ.მ.-ის გამოსყიდვის აუცილებლობა.

ქონების მესაკუთრეს ეცნობა განსახორციელებელი პროექტის მნიშვნელობის თაობაზე და მიეცა დასახელებული პროექტის განხორციელების ფარგლებში მოქცეული მიწის ნაკვეთის ნაწილის (267 კვ.მ-ის) ნებაყოფლობით გასხვისების წინადადება, სამართლიანი კომპენსაციის ანაზღაურების პირობით. ამავე შეტყობინებით მესაკუთრეებს თუ მესაკუთრეს მიეწოდა ინფორმაცია, რომ უარის შემთხვევაში, „სსე“ იმოქმედებდა „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

გამომდინარე იქიდან, რომ მოცემულ შემთხვევაში ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა, ქონების აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმევის საკითხი განხილულ იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 25 მარტის N1-1/159 ბრძანებით შექმნილი ექსპროპრიაციის საკითხების განმხილველი კომისიის მიერ.

2025 წლის 28 თებერვალს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის **N1-1/65** ბრძანება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ს/ს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“-თვის ექსპროპრიაციის უფლების მინიჭების თაობაზე“, რომლითაც **ექსპროპრიაციის უფლების მისანიჭებელ სუბიექტად დადგინდა „სსე“** და მას ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფელ გუმბრაში მდებარე ელისო ქაროსანიძის (პ/ნ 60001060760) საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე:

– **უძრავი ქონების საკადასტრო კოდი: 29.09.48.396; საექსპროპრიაციო უძრავი ქონება: მიწის ნაკვეთის 1324 კვ.მ.-ის ნაწილი - 267 კვ.მ.**

პროექტისთვის საჭირო მიწის ნაკვეთზე ექსპროპრიაციის უფლების მოსაპოვებლად კანონმდებლობით განსაზღვრული მეორე ეტაპის გავლის უზრუნველყოფის მიზნით, „სსე“ უახლოეს პერიოდში დადგენილი წესის შესაბამისად მიმართავს სასამართლოს.

უძრავი ქონების მესაკუთრეს დამატებით ეცნობება სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლოში საქმის განხილვის თარიღი.

# ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირის 2024 წლის ფინანსური ანგარიში

ნაშთი 01.01.2024 იყო **7680** ლარი. 2024 წელს ენერგეტიკის ვეტერანთა კავშირის შემოსავალმა შეადგინა **114400** ლარი. მათ შორის საწევრო ანარიცხების სახით **102400** ლარი ('სემეკიდან“ 12000 ლარი, „თელასიდან“ 14400 ლარი, „ენერგო-პრო ჯორჯიადან“ 24000 ლარი, „საქორგგაზიდან“ 12000 ლარი, „ენგურჰესიდან“ 10000 ლარი, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემიდან“ 30000), დახმარების სახით **12000** ლარი „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციიდან“ .სულ შემოსავალი ნაშთის ჩათვლით არის **122080** ლარი.

2024 წელს გაწეულია **115792** ლარის ხარჯი. ჩატარდა 42 ვეტერან-ენერგეტიკოსის საიუბილეო თარიღების აღნიშვნა მისალოცი ადრესებით და ფასიანი საჩუქრების გადაცემით-თანხით 4585 ლარი, გაიცა ვეტერანებზე მატერიალური დახმარება (287-ჯერ) – 44160 ლარი, დაჯილდოვდა ომის მონაწილის 1 ვეტერანი 200 ლარით, 85 წლის იუბილესთან დაკავშირებით კავშირის წევრი ვეტერანი (კავშირის მთ. რეფერენტი) დაჯილდოვდა 380 ლარით, განთავსდა გაზეთში ვეტერანების ნეკროლოგები – 444 ლარი. სულ ზემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებებზე დაიხარჯა – **49769** ლარი. ადმინისტრაციულმა ხარჯმა შეადგინა **60794** ლარი, საკანცელარიო ხარჯი **502** ლარი, კომუნიკაციური მომსახურება **719** ლარი, ბანკის მომსახურეობის საკომისიო **380** ლარი, დარიცხული 2024 წლის ამორტიზაცია **388** ლარი, დარიცხული ქონების გადასახადი **12** ლარი, ჟურნალ-გაზეთების გამოწერა **168** ლარი, აუდიტის მომსახურება **2360** ლარი, ოფისის იჯარა **700** ლარი.

## ბალანსი 1/01–2025 წლისთვის

| აქტივი | კოდი (სტრიქ) | წლის დასაწყისში | საანგარიშო პერიოდის ბოლოს |
|---|---|---|---|
| **მიმდინარე აქტივები** | | | |
| ნაღდი ფული სალაროში - 1110 | 10 | 0,00 | 0,00 |
| ფული საბანკო ანგარიშებზე - 1210 | 20 | 7680,00 | 6984,00 |
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურეობიდან - 1410 | 40 | 4200,00 | 4200,00 |
| მოთხოვნები მეკავშირე საწარმოს მიმართ - 1420 | 41 | | |
| მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ-1430 | 60 | | |
| სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები-1490 | 90 | | |
| **სულ მიმდინარე აქტივები** | | **11880,00** | **11184,00** |
| **სასაქონლო მატერიალური მარაგი** | | | |
| წინასწარ გაწეული ხარჯები-1700 | 160 | 23,00 | 35,00 |
| მარაგები -1690 | 170 | 3004,00 | 2684,00 |
| **სულ მატერიალური მარაგი** | | **3027,00** | **2719,00** |
| **სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი** | | | |
| **გრძელვადიანი აქტივები** | | | |
| ოფისის აღჭურვილობა-2160 | 230 | 2125,00 | 1737,00 |
| სხვა ძირითადი საშუალებები-2190 | 250 | | |
| **სულ გრძელვადიანი აქტივები** | | **2125,00** | **1737,00** |
| სულ აქტივები | | ***17032,00*** | ***15640,00*** |
| | | | |

| პასივი | კოდი (სტრიქ) | წლის დასაწყისში | საანგარიშო პერიოდის ბოლოს |
|---|---|---|---|
| **მიმდინარე ვალდებულებები** | | | |
| მოწოდებიდან და მომსახურეობიდან წარმოქმნილი ვალდებულებები-3110 | 310 | 41,00 | 41,00 |
| მიღებული ავანსები-3120 | 320 | | |
| გადასახდელი ხელფასები-3130 | 330 | | |
| გადასახდელი საგადასახადო ვალდებულება-3380 | 370 | 0,00 | 0,00 |
| **სულ მიმდინარე ვალდებულებები** | | **41,00** | **41,00** |
| **საკუთარი კაპიტალი** | | | |
| სხვა საოპერაციო შემოსავლები - 6190 | 610 | 16991,00 | 15599,00 |
| გაუნაწილებელი მოგება-5310 | 540 | | |
| დაუფარავი ზარალი-5320 | 550 | | |
| **სულ საკუთარი კაპიტალი** | | **16991,00** | **15599,00** |
| **სულ ვალდებულებები და საკუთრი კაპიტალი** | | ***17032,00*** | ***15640,00*** |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |
| | | | |



# ხულოში, სოფელ საციხურის მეჩეთი დაიწვა

**კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ხულოს მუნიციპალიტეტში საციხურის (ყოფილი დიდაჭარის) მეჩეთთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.**

3 მარტს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში შემოვიდა შეტყობინება საციხურის მეჩეთში ხანძრის თაობაზე. შემთხვევის შედეგად ძეგლი ფაქტობრივად განადგურდა. ხანძრის მიზეზების გამოსავლენად მიმდინარეობს მოკვლევა.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო დაუკავშირდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამის უწყებებს, რათა დაიგეგმოს შემდგომი ღონისძიებები. საციხურის ჯამე XIX ს.-ის პირველი ნახევრის ქართული ჯამეების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში იყო და მინიჭებული ჰქონდა ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის კატეგორია.

საციხურის ჯამე, რომელიც 1814 წელს აიგო და 1828 წელს ლაზმა ოსტატებმა შეამკეს, 2002 წლამდე სოფ. დიდაჭარაში იდგა, შემდეგ კი სოფ. საციხურში გადაიტანეს...

# გილოცავთ 8 მარტს!



## სიცოცხლის ხეო, სიმართლის ნერგო...

### ელენე აბაშიძეს 18 მარტს 103 წელი უსრულდება

შენ გაამართლე წმინდა წყლის აზრით,
მეფობა ქალის, თავადურ გენის,
ქვაც კი გახეთქე სიმართლის დაკვრით,
პირველობა ხომ გვარიდან გშვენის...

ოდითგან მოგვდგამს კარგების მტრობა,
ნამუსზე ბრძოლა და ნიჭზე შური,
ასწილად სჯობდა ანბანის შრობა,
ხარის ბეჭებზე ქვაბების მურით...

ცხრა უღელშებმულ ხარებს აჯობე,
მედგრად გასწიე რწმენის ჭაპანი,
გიგანტ კაშხალებს უნგრიე ღობე,
ვერ მოგერია ცრუ და ჯაბანი!

ასი თვალითა და ასი ყურით,
ისმენდი ყივილს ყოველი ადლის,
გამძლეობა გაქვს რა შესაშური,
უფლის წყალობით ამდენი მადლი,

ხვამლის მთებიდან ჩუმ ტრფობის ალო,
კირქვის ნაპრალთა მკრთალო არილო,
სასარგებლო და ჭკვიანო ქალო,
ორ საუკუნის მიწის მარილო!

ნეტავი შენ, რომ პარკისას არ სჭამ,
შემოგვრჩი რჩეულ ქალადქალიდან,
გულში ჩაგიკრავს მთაწმინდის მიწა,
ის თუ ამოვა შენი ვალიდან...

ეს უკვდავება მიტომაც გერგო,
მხცოვანმა ყველას პირში ახალო,
სიცოცხლის ხეო, სიმართლის ნერგო,
მარად ძველო და მარად ახალო!

**მედეა მოსულიშვილი,**
საერო აკადემია „ფაზისის“ წევრი

## მართლმადიდებლობის ზეიმი

**9 მარტს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს მართლმადიდებელთა ზეიმს. ეს კი ხდება დიდმარხვის I კვირას – ეს იგივე ხატთა თაყვანისცემის დამკვიდრების დღეა!**

...ცნობილია, რომ VIII საუკუნეში ბიზანტიის სახელმწიფოს განმტკიცების და გაძლიერების ჟამს, მის წიაღში წარმოიშვა ახალი ერესი – ხატმებრძოლობა, რომელიც მთელი საუკუნის მანძილზე მძვინვარებდა და მრავალი უბედურება დაატეხა თავს თავის ქვეყანას.

ერეტიკული სწავლების საპირისპიროდ, იოანე დამასკელმა ხატსა და მის თაყვანისცემაზე მართლმადიდებული სწავლება ჩამოაყალიბა, რომელიც მოკლედ ასე შეიძლება გადმოიცეს. **სამყაროში ყოველივე ხატია; გამოსახულება თავად კაცი და ხატი მსგავსია ღმრთისა. ყოველი საგანი ხატია იდეისა. ხატსა და პროტოტიპს შორის მატერიასა და სულს შორის არსებობს კავშირი.**

თუკი ხატმებრძოლნი სულთან მატერიის ამ კავშირს სრულიად უარყოფენ, მაშინ ისინი მანიქეველები ყოფილან, რომელნიც ღმერთთან მატერიალური სამყაროს ყოველგვარ ზიარებას გამორიცხავენ.



აღსანიშნავია ისიც, რომ მართლმადიდებელი ეკლესია, თავისი მართლმადიდებლური სარწმუნოების ჭეშმარიტებას მოწმობს ხილული ნიშნებით – სასწაულებით! ასეთია მადლმოსილი ცეცხლის გადმოსვლა მაცხოვრის საფლავზე, ნათლისღების დღესასწაულზე – სასწაული, ფერისცვალების დღესასწაულზე – სასწაული. მორწმუნეთ ცაზე აუცილებლად ღრუბლის გამოჩენა თაბორის მთაზე.

**გიული ლიპარტია**

## მოქანდაკეთა 5 თაობის ნამუშევრების გამოფენა რუსთავში



**რუსთავის მერიის ორგანიზებით, ოთარ ჩხარტიშვილის სახელობის ხელოვნების გალერეაში, რუსთაველ მოქანდაკეთა ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა,** – ამის შესახებ ინფორმაციას რუსთავის მერია ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, ექსპოზიციაზე სახელწოდებით – „თაობათა ექო“ 15 მოქანდაკის ნამუშევარია წარმოდგენილი და რუსთაველ სკულპტორთა ხუთი თაობის შემოქმედებას აერთიანებს. გამოფენა, რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ მოქანდაკეებთან ერთად გახსნა. მისი თქმით, რუსთაველებს ამ უნიკალური ნამუშევრებით დატკბობის შესაძლებლობა ერთი თვის განმავლობაში ექნებათ.

## მეცნიერები ვარაუდობენ, რომ 2050 წლისთვის მსოფლიოს ზრდასრული მოსახლეობის 50%-ზე მეტი ჭარბწონიანი იქნება



**ამ ინფორმაციას უცხოური მედია ავრცელებს. შესაბამისი კვლევა, რომელიც მსოფლიოს 200-ზე მეტ ქვეყანაში მოპოვებულ მონაცემებს ეყრდნობა, სამეცნიერო ჟურნალ The Lancet-ში გამოქვეყნდა.**

## „ნიჭიერთა ათწლედს“ რვა ახალი როიალი გადაეცა

**საქართველოს კულტურის სამინისტროს დაფინანსებით, ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალურ სამუსიკო სკოლა „ნიჭიერთა ათწლედს“ რვა ახალი როიალი გადაეცა.**

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, „STEINWAY AND SONS“-ის როიალების გადაცემას საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილე ბექა დავითულიანი ნიჭიერთა ათწლედის დირექტორთან ნოდარ ჟვანიასთან ერთად დაესწრო.



ახალი ინსტრუმენტები ადგილზე კომპანიის წარმომადგენლებმა გამართეს და შეამოწმეს. სამუსიკო სკოლების და სასწავლებლების ინსტრუმენტებით აღჭურვა გრძელდება.

## 26 წლის პეტრეა მაკკეიტენმა ვეიპინგის შედეგად ფილტვების კოლაფსი განიცადა

**Fox News Digital-თან ინტერვიუში პენსილვანიელმა მაკკეიტენმა აღნიშნა, რომ 21 წლის ასაკში დაიწყო ელექტრონული სიგარეტის გამოყენება და ვეიპინგს მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში მისდევდა, სანამ ჯანმრთელობის მძიმე პრობლემები არ დაეწყო.**

მისი თქმით, თავდაპირველად მხოლოდ მსუბუქი დისკომფორტი ჰქონდა, მაგრამ მდგომარეობა სწრაფად გაუარესდა. ფილტვების დაზიანების გამო მას სასწრაფო ოპერაცია დასჭირდა.

მაკკეიტენი აფრთხილებს ელექტრონული სიგარეტის მომხმარებლებს და მოუწოდებს მათ, დაფიქრდნენ შესაძლო ჯანმრთელობის რისკებზე. ჯანდაცვის ექსპერტები უკვე დიდი ხანია ამტკიცებენ, რომ ვეიპინგს სერიოზული ჯანმრთელობის რისკები ახლავს, მათ შორის ფილტვების დაზიანება, სუნთქვის პრობლემები და ნიკოტინზე დამოკიდებულება.

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებით ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

დამკაბადონებლები:
**გიორგი მახარაშვილი,**
**არჩილ სიხარულიძე.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოზეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში“**
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com

ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე
GE90BG0000000538329790

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 10 მარტს**